ქალი და არასრულწლოვანი პატიმრების მდგომარეობა საქართველოში

თბილისი, 2018

ანგარიშის მომზადებაში ადამიანის უფლებათა ცენტრიდან მონაწილეობდნენ: ნინო ცაგარეიშვილი, ნესტან ლონდარიძე, ეკა ქობესაშვილი, ალეკო ცქიტიშვილი, თამარ ქურთაული.

ანგარიშის მომზადებაში სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტიდან მონაწილეობდნენ: ხატია ხელაძე, მერი სამსონია, ლევან ბეგიაშვილი, აკაკი კუხალეიშვილი[1].

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესის ხელშეწყობა საქართველოში. ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ადამიანის უფლებების პატივისცემა, ხოლო ხელისუფლება პატივს უნდა სცემდეს კანონის უზენაესობას, გამჭვირვალობის პრინციპებს და ძალთა გადანაწილებას დისკრიმინაციის ყველა დონეზე აღმოსაფხვრელად.

ადამიანის უფლებათა ცენტრი არის შემდეგი საერთაშორისო ქსელის წევრი:

- ადამიანის უფლებების საერთაშორისო ფედერაცია (FIDH); www.fidh.org
- წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT - ქსელი - SOS - წამება); www.omct.org
- ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი; www.humanrighshouse.org
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიცია (CICC); www.coalitionfortheicc.org

მისამართი: 0160 თბილისი, აკ. გახოკიძის ქ. 11ა , III-სართული
ტელ: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 245 45 33, (+995 32) 238 46 48
ფაქსი: (+995 32) 238 46 48
ელ-ფოსტა: hridc@hridc.org
ვებ-პორტალი: www.humanrights.ge, www.hridc.org

მონიტორინგის ანგარიში მომზადდა ბულგარეთის განვითარების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემის ანგარიშზე სრულად პასუხისმგებელია ადამიანის უფლებათა ცენტრი და მასში გამოთქმული მოსაზრებებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ბულგარეთის განვითარების ფონდისა და ბულგარეთის რესპუბლიკის შეხედულებას.

[1] განხორციელებულ ვიზიტებში მონაწილეობას იღებდნენ სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის თანამშრომელი ანა ლობჟანიძე, თანასწორობის დეპარტამენტის თანამშრომლები ანა კვაჭაძე, მარიეტა ახვლედიანი და ბავშვთა ცენტრის თანამშრომლები თამთა ბაბუნაშვილი და მარიამ ბოჭორიშვილი

სარჩევი

1. შესავალი 4
2. არასრულწლოვანი პატიმრები 5
2.1. არასათანადო მოპყრობა და უსაფრთხოება 5
2.2. პატიმრობის პირობები 12
2.3. სამედიცინო მომსახურეობა 18
2.4. კონტაქტი გარე სამყაროსთან 18
რეკომენდაციები 20
3. N5 პენიტენციური დაწესებულება 23
3.1. არასათანადო მოპყრობა და უსაფრთხოება 23
3.2. პატიმრობის პირობები 26
3.3. დღის განრიგი და სარეაბილიტაციო აქტივობები 29
3.4. სამედიცინო მომსახურება 32
3.5. კვება 34
3.6. კონტაქტი გარე სამყაროსთან 35
3.7. დედათა და შვილთა კორპუსში მოთავსებული ქალი პატიმრები 37

1. შესავალი

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს პროექტის - „ქალი და არასრულწლოვანი პატიმრების მდგომარეობის მონიტორინგი საქართველოში“ - შედეგებს. პროექტი მოიცავდა პერიოდს 2017 წლის 15 დეკემბრიდან 2018 წლის 15 ივნისამდე. პროექტის მიზანს წარმოადგენდა ქალი და არასრულწლოვანი თავისუფლებააღკვეთილი პირების მდგომარეობისა და პრობლემების გამოვლენა პენიტენციურ დაწესებულებებში, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ამ მიმართულებით და ქალთა და არასრულწლოვანთა დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

მონიტორინგი განხორციელდა ქალთა N5 სპეციალურ დაწესებულებაში, არასრულწლოვანთა N11 სარეაბილიტაციო დაწესებულებასა და N8 პენიტენციური დაწესებულების არასრულწლოვანთა განყოფილებაში, ადამიანის უფლებათა ცენტრისა და სახალხო დამცველის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის წარმომადგენლების მიერ (შემდგომში „მონიტორინგის ჯგუფი“), დაწესებულებებში ერთობლივი ვიზიტების განხორციელების გზით. ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები მონიტორინგში მონაწილეობდნენ სახალხო დამცველის სპეციალური რწმუნების საფუძველზე. N11 და N8 პენიტენციური დაწესებულებების მონიტორინგი განხორციელდა 2018 წლის მარტში, ხოლო N5 პენიტენციური დაწესებულების მონიტორინგი - 2018 წლის აპრილში.

მონიტორინგის პროცესში პატიმრებთან გასაუბრების მიზნით გამოყენებულ იქნა სპეციალურად შედგენილი კითხვარები, დაწესებულებაში არსებული პირობების, პატიმართა მოპყრობისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლის მიზნით. სპეციალური კითხვარების მეშვეობით გამოიკითხა ასევე დაწესებულებების ადმინისტრაციის წარმომადგენლები, შემოწმდა დაწესებულებაში არსებული დოკუმენტაცია, განხორციელდა დაწესებულების მატერიალური პირობების დათვალიერება.

სამივე (N11, N8, N5) დაწესებულებაში სულ გამოიკითხა 119 პატიმარი. N11 დაწესებულებაში[2] გამოიკითხა 15 არასრულწლოვანი მსჯავრდებული, N8 დაწესებულებაში[3] – 13 არასრულწლოვანი ბრალდებული[4], ხოლო N5 ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში გამოიკითხა 91 ქალი პატიმარი[5], მათ შორის, 18

[2] 2018 წლის 13 მარტს, მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის I დღეს, N11 დაწესებულებაში იმყოფებოდა 16 არასრულწლოვანი მსჯავრდებული.
[3] 2018 წლის 16 მარტს, მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დღეს, N8 დაწესებულებაში იმყოფებოდა 15 არასრულწლოვანი ბრალდებული.
[4] მსჯავრდებული, რომელსაც დაწესებულებაში მოთავსების მომენტისათვის არ შესრულებია 18 წელი, თავსდება N11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში. არასრულწლოვანი ბრალდებულები/მსჯავრდებულები ასევე თავსებიდან პენიტენციური დეპარტამენტის N2 და N8 დაწესებულებებში.
[5] მონიტორინგის პერიოდში N5 დაწესებულებაში არ ყოფილა არასრულწლოვანი და ორსული პატიმარი.

უცხო ქვეყნის მოქალაქე მსჯავრდებული, 22 ბრალდებული ქალი (მათ შორის, 5 უცხო ქვეყნის მოქალაქე ბრალდებული ქალი) და დედათა და შვილთა განყოფილებაში 3 მსჯავრდებული ქალი.

2. არასრულწლოვანი პატიმრები

2.1. არასათანადო მოპყრობა და უსაფრთხოება

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-10 მუხლის თანახმად, ყველა თავისუფლებააღკვეთილ პირს აქვს უფლება, რომ ჰუმანურად მოექცნენ და პატივი სცენ მის ღირსებას. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, „ადამიანის ღირსების პატივისცემა წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ნორმას, რომლისგანაც დაუშვებელია ყოველგვარი გადახვევა“[6]. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ განჩინებაში უსვამს ხაზს, რომ კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პირის მიერ სასჯელის მოხდა ადამიანის ღირსების პატივისცემის პირობებში, რომ სასჯელის აღსრულებამ არ გამოიწვიოს განსაცდელი და ტანჯვა, რომლის ინტენსივობაც გადააჭარბებს პატიმრობის თანმდევ, გარდაუვალ ტანჯვას და რომ პატიმრობის პრაქტიკული მოთხოვნებიდან გამომდინარე, პიროვნების ჯანმრთელობა სათანადოდ უნდა იყოს დაცული[7].

უსაფრთხოება მოიცავს პატიმართა შორის ძალადობის, ხანძრის და სხვა საგანგებო სიტუაციების პრევენციას, პატიმართა და დაწესებულებაში მომუშავე პერსონალისთვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფას, ასევე სუიციდისა და თვითდაზიანების პრევენციას.

შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ პრობლემურია N8 და N11 დაწესებულებებში არასრულწლოვან პატიმართა სრული შემოწმების პრაქტიკა, N11 დაწესებულებაში არსებული კრიმინალური სუბკულტურა, დაზიანებების დოკუმენტირება „სტამბოლის პროტოკოლის“ შესაბამისად, N8 დაწესებულებაში არასრულწლოვანი პატიმრების სრულწლოვან პატიმრებთან ინტერაქციის შესაძლებლობა, ამავე დაწესებულებაში არასრულწლოვანი პატიმრების მიმართ დეესკალაციის ოთახების გამოყენება.

სრული შემოწმება

სხეულის შემოწმების ინვაზიური ბუნებიდან გამომდინარე, შემოწმება შესაძლებელია, დამთრგუნველი და/ან დამამცირებელი იყოს დაკავებულებისთვის. უსაფრთხოების მიზნით გამოყენებული ნებისმიერი

[6] გაეროს ზოგადი კომენტარი No 29, საგანგებო მდგომარეობა (მუხლი 4), CCPR/C/21/Rev.1/Add.11, 31 აგვისტო 2001, პარაგრაფი 13ა.
[7] იხ. Valašinas v. Lithuania, no. 44558/98, § 102, ECHR 2001-VIII; ასევე Kudła v. Poland [GC], no. 30210/96, § 94, ECHR 2000-XI.

შემოწმება უნდა განხორციელდეს ბავშვზე მორგებული მიდგომის, ბავშვის ღირსებისა და პირადი ცხოვრების უფლების პატივისცემით.

მანდელას წესების შესაბამისად, პატიმრებისა და საკნების ჩხრეკის მარეგულირებელი კანონები და დებულებები უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებებს და ითვალისწინებდეს საერთაშორისო სტანდარტებსა და ნორმებს ციხეებში უსაფრთხოების შენარჩუნების საჭიროების გათვალისწინებით. ჩხრეკა უნდა ტარდებოდეს ჩხრეკის ობიექტის, ადამიანური ხელშეუვალი ღირსებისა და პირადი ცხოვრების პატივისცემით, თანაზომიერების, კანონიერებისა და აუცილებლობის პრინციპების დაცვით[8]. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ სრული გაშიშვლება უნდა განხორციელდეს მხოლოდ კონკრეტული ეჭვის საფუძველზე, შესაბამის გარემოში და განხორციელდეს ღირსების პატივისცემის პირობებში[9]. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე - *უეინრაითი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* - აღნიშნა, რომ სრული შემოწმება, ზოგადად, წარმოადგენს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ სრული შემოწმების გამოყენება იყოს კანონთან შესაბამისობაში, გამოიყენებოდეს, როგორც აუცილებელი ზომა ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად[10].

2016 წლის საპარლამენტო ანგარიშში საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, რათა ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში სრული შემოწმების ალტერნატივად შემოღებულიყო სკანირება და მომხდარიყო აღნიშნული ვალდებულების დებულებებით განსაზღვრა[11]. აღსანიშნავია, რომ N8 და N11 დაწესებულებაში არ არის სკანირების აპარატები. შესაბამისად, არასრულწლოვნების პირადი სრული დათვალიერებისას უწევთ მათი გაშიშვლება.

სრული შემოწმების გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია, რომ იგი განხორციელდეს ადამიანის პატივისა და ღირსების პატივისცემის პირობებში. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი აღნიშნავს, რომ

---

[8]გაეროს გენერალური ასამბლეა, პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მანდელას წესები), წესი 50, რეზოლუცია მიღებულია გენერალური ასამბლეის მიერ 2016 წლის 8 იანვარს, A/RES/70/175.

[9]ევროპის საბჭო: წამების პრევენციის კომიტეტი, ანგარიში ბულგარეთის მთავარობისადმი ბულგარეთში განხორციელებული ვიზიტის შესახებ, რომელიც განხორციელდა წამებისა და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ევროპული კომიტეტის (CPT) მიერ 2014 წლის 24 მარტიდან 3 აპრილის ჩათვლით, გამოქვეყნდა 2015 წლის 29 იანვარს, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე ვებგვერდზე: http://hudoc.cpt.coe.int/eng#{"fulltext":["squat"],"CPTSectionID":["p-bgr-20140324-en-23"]} [ბოლოს ნანახია: 10.06.2018].

[10]ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 26 სექტემბრის განჩინება საქმეზე *უეინრაითი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Wainwright v. the United Kingdom),* პარ 42-43.

[11]სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 71, 75, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4585.pdf [ბოლოს ნანახია: 30.05.2018].

სრული შემოწმების განხორციელებისას არ უნდა მოხდეს პირის სხეულის სხვადასხვა ნაწილების ერთდროულად გაშიშვლება[12].

2016 წლის საპარლამენტო ანგარიშში საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციის მიუხედავად, N11 და N8 დაწესებულებაში ისევ მწვავედ დგას სრული შემოწმებისას სხეულის სხვადასხვა ნაწილის ერთდროულად გაშიშვლებისა და შემოწმებისას ე.წ. „ბუქნების გაკეთების“ პრაქტიკა.

მონიტორინგის ჯგუფი მიიჩნევს, რომ აუცილებელია ბრალდებულების/მსჯავრდებულების სრული შემოწმების ალტერნატივად სკანერის გამოყენება. ხოლო სკანერის, როგორც ალტერნატიული მეთოდის, გამოყენების შემთხვევაში არ უნდა მოხდეს შემოწმების სხვა დამატებითი მეთოდების გამოყენება, რაც დაწესებულებების დებულებებით იქნება განსაზღვრული. გარდა ამისა, როგორც N8, ასევე N11 დაწესებულებაში არასრულწლოვანი პატიმრების გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, ისინი არ არიან დეტალურად ინფორმირებული მათი უფლებებისა და მოვალეობების, საჩივრის[13] შეტანისა და დისციპლინური სამართალწარმოების თაობაზე.

არასრულწლოვანი მსჯავრდებულები

N11 დაწესებულებაში ვიზიტის დროს მოთავსებული იყო 15 მსჯავრდებული. აღსანიშნავია, რომ დაწესებულების პერსონალის რაოდენობა და არსებული გარემო მსჯავრდებულებზე მუდმივი მეთვალყურეობის და მათთან მუშაობის საშუალებას იძლევა. მიუხედავად აღნიშნულისა, N11 დაწესებულებაში პატიმრების არასათანადო მოპყრობის სერიოზულ საფრთხეს ქმნის დაწესებულებებში არსებული კრიმინალური სუბკულტურა, რაც ხშირად ხდება პატიმრებს შორის ძალადობისა და ჩაგვრის მიზეზი. აღნიშნული შემთხვევების სრულყოფილ გამოკვლევასა და მის წინააღმდეგ ბრძოლას ართულებს ის ფაქტი, რომ არასრულწლოვანი მსჯავრდებულები ამ თემებზე დაწესებულების შიგნით ღიად საუბარს ერიდებიან.

კრიმინალური სუბკულტურის გავლენით ხდება პატიმრების არაფორმალური დაყოფა. შედეგად, პატიმრების გარკვეული ნაწილი, რომლებიც იმყოფება პრივილეგირებულ მდგომარეობაში, რეპრესიული მეთოდებით ახორციელებს არაფორმალურ მმართველობას, რაც ხშირ

[12]ევროპის საბჭო: წამების პრევენციის კომიტეტი, ანგარიში ჩეხეთის მთავარობისადმი ჩეხეთში განხორციელებული ვიზიტის შესახებ, რომელიც განხორციელდა წამებისა და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ევროპული კომიტეტის CPT), მიერ 2014 წლის 1-10 აპრილის ჩათვლით, პარა. 85, გამოქვეყნდა 2015 წლის 31 მარტს, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე ვებგვერდზე: http://hudoc.cpt.coe.int/eng#{%E2%80%9Cfulltext%E2%80%9D:[%E2%80%9Csquat%E2%80%9D],%E2%80%9DCPTSectionID%E2%80%9D:[%E2%80%9Cp-cze-20140401-en-30 [ბოლოს ნანახია: 30.05.2018].

[13] 2018 წლის პირველი 4 თვის მანძილზე საჩივრის ყუთით არასრულწლოვანი პატიმრების მიერ არც N8 და არც N11 დაწესებულებიდან არ გაგზავნილა წერილი.

შემთხვევაში გამოიხატება სადამსჯელო ღონისძებების გატარებაში იმ პატიმრების მიმართ, რომლებიც არ დაემორჩილებიან არაფორმალური მმართველობის წესებს.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ გააცნობიეროს, თუ რა გამოწვევას წარმოადგენს დაწესებულებაში არსებული კრიმინალური სუბკულტურა და შეიმუშავოს ამ პრობლემის დაძლევის სტრატეგია.

N11 დაწესებულებაში არსებული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ 2018 წლის 1 იანვრიდან 15 მარტის ჩათვლით[14], დაწესებულებაში დაფიქსირდა არასრულწლოვანი მსჯავრდებულების სხეულის დაზიანების 17 შემთხვევა[15] (1 – სხვა მსჯავრდებულის მიერ მიყენებული, ფიზიკური დაპირისპირების შედეგად; 5 თვითდაზიანება და 11 – საყოფაცხოვრებო ტრავმა).

სხეულის დაზიანების 17 შემთხვევიდან 5 შემთხვევაში (5–დან 3 შემთხვევაში თვალბუდის არეში) მსჯავრდებულებს დაზიანებები აღენიშნებოდათ სახის არეში. თვალბუდის არეში არსებული დაზიანებებიდან სამივე შემთხვევაში დაზიანების წარმომავლობად მითითებულია საყოფაცხოვრებო ტრავმა. დაზიანების ლოკალიზაცია და ხასიათი ეჭვს ბადებს, რომ დაზიანება შეიძლება მიყენებული იყოს სხვა პირის მიერ.

საერთო შემთხვევებიდან 5 შემთხვევაში დაზიანებები მსჯავრდებულმა ა.–მ[16] მიიღო, აქედან ერთხელ სხვა მსჯავრდებულთან დაპირისპირების შედეგად. საერთო შემთხვევებიდან 4 შემთხვევაში დაზიანებები მსჯავრდებულმა ბ.–მ[17] მიიღო. აქვე საყურადღებოა 1 შემთხვევა, სადაც მითითებულია, რომ 2 მსჯავრდებულს კისრის არეში ექსკორიაციები და მსუბუქი სისხლნაჟღენთები აღენიშნებოდა. მომხდარი შემთხვევისა და დანაშაულებრივი ფაქტების რეგისტრაციის ჟურნალში არსებული ჩანაწერების მიხედვით, მსჯავრდებულებმა შემთხვევით მიიყენეს საყოფაცხოვრებო დაზიანებები, რაც ასევე ეჭვს ბადებს დაზიანებების წარმომავლობასთან დაკავშირებით.

საგულისხმოა გაურკვეველი წარმომავლობის, ასევე საეჭვო ხასიათის და ლოკალიზაციის ტრავმები. აქ საუბარია შემთხვევებზე, როდესაც პატიმარი დაზიანების წარმომავლობად მიუთითებს საყოფაცხოვრებო ტრავმას,

[14] N11 დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 7 მაისის MOC 3 1800404373 წერილის თანახმად, 2018 წლის 1 იანვრიდან 30 აპრილის ჩათვლით, პატიმრის მიერ სავარაუდოდ ჩადენილ დანაშაულის ფაქტზე სულ გაიგზავნა 19 შეტყობინება.
[15] არსებული ინფორმაციით, აღნიშნულ შემთხვევებზე სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში გაიგზავნა შეტყობინებები, თუმცა, დაწესებულებაში არ არსებობს ინფორმაცია აღნიშნულ შემთხვევებზე რეაგირების შესახებ.
[16] გამოყენებულია პირობითი ინიციალი, რათა არ მოხდეს მსჯავრდებულის იდენტიფიცირება.
[17] გამოყენებულია პირობითი ინიციალი, რათა არ მოხდეს მსჯავრდებულის იდენტიფიცირება.

მაგრამ დაზიანების ლოკალიზაცია და ხასიათი ეჭვს ბადებს, რომ დაზიანება შეიძლება მიყენებული იყოს სხვა პირის მიერ. ასე მაგალითად:

- მსჯავრდებულს აღენიშნებოდა მარცხენა თვალის მიდამოში ზედაპირული ჰიპერემია და კისრის არეში მცირე ზომის სიწითლე. მომხდარი შემთხვევისა და დანაშაულებრივი ფაქტების რეგისტრაციის ჟურნალში არსებული ჩანაწერების თანახმად, მსჯავრდებულმა შემთხვევთ მიიყენა საყოფაცხოვრებო დაზიანება;
- 2 მსჯავრდებულს აღენიშნებოდა კისრის არეში ექსკორიაციები და მსუბუქი სისხლნაჟღენთები. მომხდარი შემთხვევისა და დანაშაულებრივი ფაქტების რეგისტრაციის ჟურნალში არსებული ჩანაწერების თანახმად, მსჯავრდებულებმა შემთხვევთ მიიყენეს საყოფაცხოვრებო დაზიანებები (ჩანაწერი გაკეთებულია ერთ თარიღში);
- მსჯავრდებულს აღენიშნებოდა მარჯვენა ხელის არეში მცირე დაზიანება, ასევე მარჯვენა თვალბუდის არეში მცირე ზომის ჰიპერემიული უბანი. მომხდარი შემთხვევისა და დანაშაულებრივი ფაქტების რეგისტრაციის ჟურნალში არსებული ჩანაწერების თანახმად, მსჯავრდებულმა შემთხვევით მიიყენა საყოფაცხოვრებო დაზიანება.

ზემოაღნიშნულ მაგალითებში დაზიანებების ხასიათი და ლოკალიზაცია ბადებს გონივრულ ეჭვს, რომ პატიმრის განმარტება დაზიანების წარმომავლობის შესახებ დიდი ალბათობით არ შეესაბამება სინამდვილეს და დაზიანება შეიძლება მიყენებულია სხვა პირის მიერ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ როდესაც დაზიანების მიზეზად პატიმარი მიუთითებს საყოფაცხოვრებო ტრავმას, აუცილებელია, მოხდეს სხეულის სრულყოფილად დათვალიერება, სხვა დაზიანებების აღმოჩენის მიზნით. ამ გზით შესაძლებელი იქნება, გაირკვეს, აქვს თუ არა მას სხვა დაზიანებები, ასევე - შეიძლებოდა თუ არა, პატიმარს ეს დაზიანება მიეღო იმ გარემოებებში, რის შესახებაც იგი შემოწმების დროს უთითებს და ხომ არ არსებობს ეჭვი, რომ მის მიმართ განხორციელდა ძალადობა.

N8 და N11 დაწესებულებებში დაზიანებების დოკუმენტირება არ ხდება „სტამბოლის პროტოკოლით“ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად. „სტამბოლის პროტოკოლის“ თანახმად, სასჯელაღსრულების სისტემაში მომუშავე ექიმმა უნდა გაითვალისწინოს პაციენტის საუკეთესო ინტერესები და ახსოვდეს კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება. ამავე დროს, ექიმს უჩნდება მორალური საფუძველი არასათანადო მოპყრობის გამოაშკარავების სასარგებლოდ. იმ შემთხვევაში, თუ პატიმარი თანახმაა არასათანადო მოპყრობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებაზე, ექიმი ვალდებულია, გადაუგზავნოს ეს ინფორმაცია შესაბამის საგამოძიებო ორგანოს. პატიმარი თუკი უარს აცხადებს ამა თუ იმ ინფორმაციის გამჟღავნებაზე, ექიმმა უნდა აწონ-დაწონოს, რა უფრო მნიშვნელოვანია, პოტენციური საფრთხე მოცემული პაციენტისთვის, თუ მიღებული

ინფორმაციის გამჟღავნებით მიღებული სარგებელი ყველა პატიმრისათვის, აგრეთვე -საზოგადოებისთვის, რომელიც დაინტერესებულია, რომ არასათანადო მოპყრობის პრაქტიკა აღმოიფხვრას[18].

აღნიშნულიდან გამომდინარე, მონიტორინგის ჯგუფი თვლის, რომ მიუხედავად პატიმრის თანხმობისა, საგამოძიებო ორგანოსთვის შეტყობინების საკითხზე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ექიმმა, პატიმრის ინტერესებისა და საჯარო ინტერესის გათვალისწინებით.

არასრულწლოვანი ბრალდებულები

მიუხედავად იმისა, რომ N8 დაწესებულებაში არასრულწლოვანი პატიმრები იზოლირებულ საცხოვრებელ კორპუსში არიან განთავსებულები, მათ მაინც აქვთ სრულწლოვან პატიმრებთან ინტერაქციის საშუალება (მაგალითად, როდესაც ხდება არასრულწლოვანი ბრალდებულის გაყვანა ადვოკატთან ან კანონიერ წარმომადგენელთან შესახვედრად). ამასთან, სამეურნეო ნაწილში დასაქმებული სრულწლოვანი მსჯავრდებულები არიგებენ საკვებს თითოეულ საკანში, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ საქმიანობას ახორციელებენ რეჟიმის თანამშრომლის ზედამხედველობით. ეს კი არასრულწლოვან პატიმართა უსაფრთხოების კუთხით რისკს წარმოადგენს.

N8 დაწესებულებაში არსებული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ 2018 წელს დაწესებულებაში დაფიქსირდა არასრულწლოვანი ბრალდებულების ფიზიკური დაზიანების 8 შემთხვევა[19]. აღნიშნული შემთხვევების მიზეზად, დოკუმენტაციაში, უმეტესწილად, თვითდაზიანებები (6 შემთხვევა) და საყოფაცხოვრებო დაზიანებებია (2 შეთხვევა) მითითებული. თვითდაზიანების 6 შემთხვევიდან 3 შემთხვევაში დაზიანება ერთი და იგივე ბრალდებულმა მიიყენა.

მონიტორინგის ჯგუფი მიიჩნევს, რომ თვითდაზიანებების შემთხვევების პრევენციის მიზნით N8 პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციამ უნდა მიმართოს შესაბამის ზომებს, მათ შორის, უნდა მოხდეს მულტიდისციპლინური ჯგუფის (ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკის, ექიმის და საჭიროების შემთხვევაში, ფსიქიატრის) ჩართვა და პატიმრისათვის ადეკვატური დახმარების გაწევა.

იმ ფონზე, როდესაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მთავარ მიზნებს წარმოადგენს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება, სასჯელის მოხდის ყველაზე მსუბუქი საშუალების

[18] სტამბოლის პროტოკოლი, პარ. 72.
[19] არსებული ინფორმაციით, აღნიშნულ შემთხვევებზე სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში გაიგზავნა შეტყობინებები. თუმცა, დაწესებულებაში არსებულ დოკუმენტაციაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია აღნიშნულ შემთხვევებზე რეაგირების შესახებ.

გამოყენება, ალტერნატიული ზომების პრიორიტეტულობა და სრულწლოვან პატიმრებთან შედარებით, პატიმრობის განსხვავებული პირობების შექმნა, N8 დაწესებულებაში გვაქვს ვითარება, როდესაც სრულწლოვანი პატიმრების მსგავსად, არასრულწლოვანი ბრალდებულების შემთხვევაშიც დამკვიდრებულია უსაფრთხოების ღონისძიების სახით არასრულწლოვნების დეესკალაციის ოთახში მოთავსების პრაქტიკა.

N8 დაწესებულებაში ფუნქციონირებს დეესკალაციის 3 ოთახი, სადაც სრულწლოვანი მსჯავრდებულებისგან განცალკევებით, არასრულწლოვანი პატიმრებიც თავსდებიან. 2018 წლის 1 იანვრიდან 30 აპრილის ჩათვლით, აღნიშნულ ოთახში დაფიქსირდა არასრულწლოვანი ბრალდებულის მოთავსების 3 შემთხვევა. სამივე შემთხვევაში დაწესებულების სამედიცინო პუნქტის ექიმის მოხსენებითი ბარათისა და ოპერატიული მორიგის პატაკის საფუძველზე.

გადაყვანის თარიღი	გამოყვანის თარიღი
01.01.2018	02.01.2018
09.02.2018	12.02.2018
18.02.2018	20.02.2018

დეესკალაციის ოთახში არსებულ ცუდ პირობებთან ერთად, პრობლემურია ოთახში არსებული გარემო, რომელიც არ არის მოწყობილი იმგვარად, რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი თვითდაზიანების რისკი.

ასევე, დეესკალაციის ოთახებში პატიმრებს შეზღუდულად მიეწოდებათ პირადი ჰიგიენის დაცვისა და ჭურჭლის სარეცხი საშუალებები; ამ ოთახებში მოთავსებული პატიმრების ტანსაცმელი ინახება დაწესებულების თანამშრომლებთან და პატიმრებს საკუთარ ტანსაცმელზე წვდომა შეზღუდული აქვთ. დეესკალაციის ოთახებში ყოფნისას პატიმრებს არ ეძლევათ მაღაზიით სარგებლობის, ტელეფონით დარეკვის, პირადი მიმოწერისა და პაემნის უფლება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ კვლავ პრობლემად რჩება დეესკალაციის ოთახებში პატიმრების პირადი ცხოვრების უფლების დაცვის საკითხი. აღნიშნულ ოთახებში მეთვალყურეობის სისტემა იმგვარად არის დამონტაჟებული, რომ ოთახის ტუალეტის ნიჟარა მოქცეულია ვიდეოკამერების ხედვის არეალში, რაც დაუშვებელია და შესაძლოა, გაუტოლდეს არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას.

აღსანიშნავია, რომ დეესკალაციის ოთახში მოთავსებისას არ ხდება პატიმრის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინება. საკუთარი ან სხვისი სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაზიანების რისკის არსებობის შემთხვევაში, დეესკალაციის ოთახში პატიმრის მოთავსება არის

ერთადერთი ინტერვენცია, რა დროსაც არ ხდება ფსიქოლოგის, ფსიქიატრის, სოციალური მუშაკის, ექიმის და დაწესებულების სხვა სამსახურების თანამშრომლების ერთობლივი, მულტიდისციპლინური მუშაობა და ჩარევა, რისკების შემცირების/აღმოფხვრის მიზნით.

N8 პენიტენციურ დაწესებულებაში, არასრულწლოვნების დეესკალაციის ოთახში მოთავსების პრაქტიკა, არა მხოლოდ ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, არამედ ტოვებს მისი დასჯის მიზნით გამოყენების შთაბეჭდილებას. განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც პირის დეესკალაციის ოთახში მოთავსებისას დამატებით ხდება მინიმალური უფლებების შეზღუდვა, რაც ეწინააღმდეგება, როგორც არასრუწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსს, ასევე შეუთავსებელია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრაციის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტულ მინიმალური წესებისა (პეკინის წესები) და ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის სულისკვეთებასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ცვლილებები შევიდეს N8 პენიტენციური დაწესებულების დებულებაში, რათა არასრუწლოვანი ბრალდებულების შემთხვევაში აიკრძალოს დეესკალაციის ოთახის გამოყენება.

2.2. პატიმრობის პირობები

პატიმრობის პირობები მოიცავს ისეთ პირად სივრცეს, სადაც უზრუნველყოფილია პრივატული გარემო, დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, თითოეული პატიმარი უზრუნველყოფილია პირადი მოვლის საშუალებებით, პატიმრებს მაქსიმალურად ეძლევათ საკნის გარეთ სუფთა ჰაერზე ყოფნის შესაძლებლობა, საკნებში გამართულად ფუნქციონირებს ბუნებრივი და ხელოვნური ვენტილაცია, გათბობა და განათება, პატიმრებისთვის შემუშავებულია ინდივიდუალური სარეაბილიტაციო გეგმები, ისინი დღის განმავლობაში უზრუნველყოფილნი არიან მრავალფეროვანი აქტივობებით.

პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების მომსახურება, სადაც მოთავსებულია არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული, უნდა აკმაყოფილებდეს მისი ჯანმრთელობის დაცვისა და ღირსების პატივისცემის მოთხოვნებს[20]. პეკინის წესების კომენტარში მითითებულია, რომ პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვნის მოთავსების დროს უპირატესობა უნდა მიენიჭოს ღია ტიპის დაწესებულებას დახურული ტიპის დაწესებულებასთან შედარებით. ამასთან, თითოეული დაწესებულება უნდა იყოს გამოსასწორებელი ან საგანმანათლებლო ხასიათის და არა ციხის ტიპის[21]. არასრულწლოვანი ბრალდებული პირები უნდა მოთავსდნენ

[20] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხ. 79(1).
[21] გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების ადმინისტრირების შესახებ, წესი 19, იხ. ბმული http://www.un.org/documents/ga/res/40/a40r033.htm [ბოლოს ნანახია 10.06.2018].

სრულწლოვანთაგან განცალკევებით. ამასთანავე, ისინი უნდა იმყოფებოდნენ განცალკევებულ დაწესებულებებში[22].

2.2.1. ფიზიკური გარემო

ყველა სისტემა მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოფდეს ბავშვის სიცოცხლის შენარჩუნებას და მის ჯანსაღ განვითარებას. ბავშვები პენიტენციურ სისტემაში უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ ოპტიმალური პირობებით, რაც მათ ფიზიკური და გონებრივი განვითარების შესაძლებლობას მისცემთ. „პეკინის წესების“ მე-19 მუხლის I ნაწილი ადგენს, რომ არასრულწლოვნის მოთავსება რომელიმე გამასწორებელ დაწესებულებაში ყოველთვის უნდა იყოს უკიდურესი ზომა, რომელიც გამოიყენება მინიმალურად აუცილებელი დროის განმავლობაში. N8 დაწესებულებაში არასრულწლოვან ბრალდებულთა საცხოვრებელ საკნებსა და საპირფარეშოებში სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. საკნებში არსებული ხელოვნური ვენტილაცია ვერ უზრუნველყოფს საკნის სათანადო განიავებას. საცხოვრებელ საკნებში ფანჯრის რაფები და ფანჯარა დაბინძურებულია (შეუძლებელია მისი გაწმენდა ორმხრივი გისოსების გამო), იატაკი არის ბეტონის (ცივი), რაც ცუდად აისახება ბრალდებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

სათანადო ფიზიკურ მდგომარეობაში მყოფი არასრულწლოვანი და სხვა პატიმრები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ ფიზიკური ვარჯიშის დროს – თამაშის შესაძლებლობით. ამისათვის საჭიროა სათანადო მოედნების, დანადგარებისა და ინვენტარის არსებობა[23].

როგორც წესი, ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში (N11 დაწესებულებაში) მყოფი მსჯავრდებულები, დღის განმავლობაში თავისუფლად გადაადგილდებიან მათი საცხოვრებელი კორპუსების სასეირნო ეზოებში. ხოლო დახურული ტიპის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულებს აქვთ უფლება, დღეში არანაკლებ 1 საათისა, ისარგებლონ გასეირნების უფლებით.

N8 დაწესებულებაში სასეირნო ეზოები, მოწყობილია საცხოვრებელი კორპუსის ბოლო სართულზე[24]. არასრულწლოვნებისთვის, ასევე, გამოყოფილია ოთახი, სადაც განთავსებულია 1 მულტიტრენაჟორი. აღნიშნული ოთახით სარგებლობის დრო შედის ყოველდღიური გასეირნების 2-საათიან დროში. ვინაიდან სუფთა ჰაერზე ყოფნის დეფიციტი უარყოფით გავლენას ახდენს პატიმართა როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, მნიშვნელოვანია არასრულწლოვანი ბრალდებულებისთვისაც შეიქმნას სუფთა ჰაერზე ყოფნის სათანადო

[22] ნელსონ მანდელას წესები, წესი 112 (2)
[23] ნელსონ მანდელას წესები, წესი 23 (2)
[24] სასეირნო ეზოებში განთავსებულია მაგიდის ჩოგბურთის სათამაშო ინვენტარი, მკლავჭიდის მაგიდა და კალათბურთის ფარი, ბურთით.

პირობები და სასეირნო ეზოები მოეწყოს მიწის საფარის დონეზე.

2.2.2 დღის განრიგი და სარეაბილიტაციო აქტივობები

სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვა

სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმით[25] უნდა დადგინდეს და შეფასდეს რეაბილიტაციის კუთხით მსჯავრდებულთა საჭიროებები, თითოეული მსჯავრდებულისთვის განისაზღვროს ფსიქო–სოციალური, სარეაბილიტაციო პროგრამების ინდივიდუალური ნუსხა. პროგრამის შედეგები კი უნდა აისახოს მსჯავრდებულის რისკების შეფასებისა და პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის გადაწყვეტაზე[26]. პატიმართა სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მოცემული გეგმები ზოგადი ხასიათისაა და არ შეიცავს კონკრეტულ ქმედებებს, რომელიც მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის პროცესში უნდა განხორციელდეს. ინდივიდუალური გეგმები არ იძლევა სრულ სურათს მსჯავრდებულის საჭიროებებისა და პრობლემების იდენტიფიცირების შედეგად სპეციალისტის მიერ დადგენილი ან გატარებული სამუშაოების შესახებ. მაგალითად, გეგმებში ხშირად არის აღნიშნული ისეთი აქტივობების შესახებ, როგორიც არის შეხვედრები ფსიქოლოგთან და სოციალურ მუშაკთან, მაგრამ არ არის დაკონკრეტებული შეხვედრების მიზანი, საუბრის თემა და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია. აღნიშნული პრობლემა აბრკოლებს შეფასებას, თუ რამდენად შეესაბამება ინდივიდუალური გეგმები მის მნიშვნელოვან მიზნებს, როგორიც არის - პატიმრობის დაწესებულებაში ინდივიდისთვის საჭირო ჯანსაღი გარემოს შექმნა და მომავალში დანაშაულის ჩადენის ალბათობის შემცირება. მნიშვნელოვანია, რომ სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შესრულება და მისი მოდიფიკაცია უნდა იყოს მუდმივი პროცესი, რომელიც მორგებული იქნება კონკრეტული არასრულწლოვანი მსჯავრდებულის საჭიროებებს.

არასრულწლოვანი ბრალდებულები

N8 დაწესებულებაში დაახლოებით 1 წელია, რაც მიმდინარეობს საპილოტე პროგრამა[27], რომლის ფარგლებშიც სოციალური სამსახური ახორციელებს არასრულწლოვანი ბრალდებულების ინდივიდუალურ შეფასებას, აღნიშნულში მონაწილეობს მულტიდისციპლინური გუნდი, ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკისა და ექიმის მონაწილეობით. ინდივიდუალური შეფასება მიმდინარეობს დაახლოებით 2 კვირის განმავლობაში. შეფასების შედეგად, დგინდება არასრულწლოვანი პატიმრის

[25] მსჯავრდებულების სარეაბილიტაციო აქტივობებში ჩართვა ხდება მათი სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად. სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის მექანიზმი 2015 წელს დაინერგა და 2017 წლის ბოლომდე ყველა დაწესებულება მოიცვა.
[26] ხელმისაწვდომია შემდეგ ელ. მისამართზე http://www.moc.gov.ge/images/catalog/items/zzzz.pdf, გვ. 32.
[27] N8 დაწესებულების სოციალური მუშაკისაგან მიღებული ინფორმაციის თანახმად.

ინდივიდუალური საჭიროებები და იგეგმება შესაბამისი აქტივობები (ფსიქოლოგთან ინდივიდუალური თერაპია, არტ–თერაპია და სხვა). თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნული არის მხოლოდ საპილოტე პროგრამა და მნიშვნელოვანია, მოხდეს მისი ნორმატიულ დონეზე დანერგვა და შესაბამისი ინსტრუმენტების შემუშავება.

ზოგადი განათლება (სკოლა)

არასრულწლოვანთა N11 სარეაბილიტაციო დაწესებულებაში ფუნქციონირებს სკოლა[28], რომელიც თბილისის ერთ-ერთ საჯარო სკოლასთან არის მიერთებული. სკოლაში ხორციელდება არასრულწლოვანთა ზოგადი განათლების უზრუნველყოფის ქვეპროგრამა. აღნიშნული უზრუნველყოფს არასრულწლოვნების მიერ როგორც ექსტერნის ფორმით პროგრამის დაძლევის შესაძლებლობას და შემდეგ საფეხურზე გადასვლას, ასევე საატესტატო გამოცდების ჩაბარების შემდეგ ატესტატის მიღებას.

N11 დაწესებულების მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ არასრულწლოვანი მსჯავრდებულების ნაწილი არ იჩენს ინტერესს სასწავლო პროცესისადმი და ხშირად არ ესწრებიან გაკვეთილებს. მნიშვნელოვანია, რომ ამ კუთხით გააქტიურდეს სოციალური სამსახურის და სკოლის მასწავლებლების ერთობლივი მუშაობა. გარდა ამისა, ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს დაწესებულებაში მომუშავე მასწავლებელთა გადამზადების საჭიროება ბავშვთა მიმართ ძალადობისა და რთული ქცევის მართვის საკითხებზე. გამოკითხული მასწავლებლები უთითებენ ბოლო წლებში ტრენინგების სიმცირეზე, რომელიც მიეძღვნება არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან ურთიერთობის საკითხებს.

ზოგადი განათლების შესახებ კანონის თანახმად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სხვა საკითხებთან[29] ერთად, შეიმუშავებს ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესებს, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმს[30], ხოლო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21

[28] რაც შეეხება N8 დაწესებულებას, აღნიშნული დაწესებულება არცერთ სკოლასთან არ არის მიერთებული, N8 დაწესებულებაში სასწავლო პროცესი მხოლოდ განათლების უწყვეტობას უზრუნველყოფს.

[29] იღებს ზომებს ყველა მოსწავლის, მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე, აგრეთვე სკოლიდან გარიცხული მოსწავლეების, მიერ ზოგადი განათლების მისაღებად; შეიმუშავებს ექსტარნის ფორმით მიღებული განათლების სერტიფიცირების დებულებას; შეიმუშავებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში გადაყვანის დებულებას; შეიმუშავებს ალტერნატიული ფორმით განათლების მიღების დებულებას.

[30] 26 მუხლის, I პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი.

თებერვლის ბრძანებით (N16/ნ)[31] დამტკიცებულია სპეციალური საგანმანათლებო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმი. N11 დაწესებულებაში არ ხდება ბავშვთა სპეციალური საჭიროებების შეფასება და შესაბამისად, არც სპეციალური მასწავლებელი[32] ჰყავთ. სკოლის მასწავლებლებსა და დაწესებულების სოციალური სამსახურის თანამშრომლებთან კომუნიკაცია არის პასიური.

საყურადღებოა, რომ არასრულწლოვანი პატიმრების ჩარიცხვა მთელ რიგ პრობლემებთანაა დაკავშირებული და აუცილებელია მშობლის აქტიური მონაწილეობა. ხშირ შემთხვევაში კი მშობლები ვერ ახერხებენ თბილისში ჩასვლას, სკოლაში ჩარიცხვის განცხადებაზე ხელმოსაწერად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ის სკოლები, სადაც დაწესებულებაში მოხვედრამდე სწავლობდნენ მსჯავრდებულები, პროცესს აჭიანურებენ და არ თანამშრომლობენ სკოლასთან, რომელთანაც მიერთებულია N11 დაწესებულება.

N11 დაწესებულებაში მყოფ ერთ–ერთ არასრულწლოვან მსჯავრდებულს არ აქვს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. დაწესებულების სოციალური სამსახურის თანამშრომლების არაერთი მცდელობის მიუხედავად ვერ მოხერხდა მისი ოჯახის წევრების ადგილსამყოფელის დადგენა. შესაბამისად, ეს მსჯავრდებული მართალია, ესწრება გაკვეთილებს, მაგრამ სკოლის დასრულების შემდგომ ატესტატს ვერ მიიღებს.

სარეაბილიტაციო აქტივობები

სარეაბილიტაციო აქტივობების დაგეგმვისა და ჩატარების პარალელურად, მნიშვნელოვანია, მუდმივი მუშაობა მიმდინარეობდეს არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან ამ პროგრამებში ჩართვის მოტივაციის შესაქმნელად და ასამაღლებლად. მნიშვნელოვანია, სოციალური სამსახურის თანამშრომლებმა იმუშაონ მოტივაციის ამაღლებაზე, მათ შორის - წახალისების ფორმების გამოყენებით.

უნდა აღინიშნოს, რომ წახალისების ფორმების გამოყენებით ქცევის პოზიტიური მართვა უმნიშვნელოვანესია კრიმინალური სუბკულტურის გავლენის შემცირების, ანტისოციალური ქცევის კორექციის, რეაბილიტაციის და საბოლოოდ, რესოციალიზაციის თვალსაზრისით.

[31] ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე.

[32] მასწავლებელი, რომელიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს ასწავლის დაწყებით საფეხურზე და ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროცესში მის ჩართვას დაწყებით, საბაზო ან საშუალო საფეხურზე.

მართალია, 2018 წლის მანძილზე დაწესებულებაში განხორციელდა სხვადასხვა სარეაბილიტაციო აქტივობა[33], მაგრამ მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროს, სარეაბილიტაციო აქტივობა არ ხორციელდებოდა.

დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ მონიტორინგის ფარგლებში გამოკითხული არასრულწლოვანი მსჯავრდებულების ინფორმაციით, დაწესებულების ადმინისტრაცია ითვალისწინებს მათ სურვილს და აძლევს მათ შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღონ სასურველ აქტივობებში. თუმცა, სასურველი პროგრამის შერჩევა ხდება იმ შესაძლო ვარიანტებიდან, რაც დაწესებულებაში უკვე არსებობს.

N11 დაწესებულებაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა. N11 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი მოიცავს 4950 წიგნს. დაწესებულებაში ხშირად არიან რუსულენოვანი არასრულწლოვანი მსჯავრდებულები, ასევე - ეთნიკურად აზერბაიჯანელი და სომეხი არასრულწლოვანი მსჯავრდებულები, რომელთათვისაც აუცილებელია, არსებობდეს ლიტერატურა მათთვის გასაგებ ენაზე. ბიბლიოთეკის თანამშრომელთა ინფორმაციით, რუსულ ენაზე ბიბლიოთეკაში 400-მდე წიგნია, რაც გარკვეულწილად აკმაყოფილებს რუსულენოვანი არასრულწლოვნების მოთხოვნებს. ბიბლიოთეკაში არის 4 წიგნი აზერბაიჯანულ ენაზე, ხოლო სომხურ ენაზე არც ერთი წიგნი არ არის.

გამასწორებელ დაწესებულებებში მოთავსებული არასრულწლოვნები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ მოვლით, დაცვით და ყველა აუცილებელი დახმარებით - სოციალური, ფსიქოლოგიური, სამედიცინო, ფიზიკური, აგრეთვე განათლებისა და პროფესიული მომზადების სფეროში, - რომლებიც მათ შეიძლება დასჭირდეთ მათი ასაკის, სქესის და პიროვნების გათვალისწინებით, აგრეთვე მათი სრულყოფილი განვითარების ინტერესების გათვალისწინებით[34].

მართალია, არასრულწლოვანი ბრალდებულები N8 დაწესებულებაში მხოლოდ რამდენიმე თვის განმავლობაში იმყოფებიან[35], მაგრამ მხედველობაშია მისაღები მათი განსაკუთრებული მოწყვლადობა და თავისუფლების აღკვეთის მძიმე ფსიქოლოგიური გავლენა, რაც საჭიროებს მეტი შესაძლებლობების შექმნას დახურულ დაწესებულებაში მოთავსების შედეგად გარემო-პირობებთან გამკლავების მიზნით.

---

[33] მათ შორის, საგანმანათლებლო, სახელოვნებო და სპორტული აქტივობა

[34] არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის გაერო-ს სტანდარტული მინიმალური წესები ("პეკინის წესები"), წესი 26 (2)

[35] არასრულწლოვანი ბრალდებულები ძირითადად დაკავებული არიან არტ-თერაპიით (ხატვა), გარკვეული სპორტულ აქტივობა (კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი), რითაც არასრულწლოვან ბრალდებულს შეუძლია დაკავდეს სასეირნო ეზოში გასვლის დროს.

2.3. სამედიცინო მომსახურეობა

N11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში სამედიცინო ნაწილში მცირე ფართშია მოწყობილი. სასტერილიზაციო მოწყობილობის ნაწილი განთავსებულია ყუთებში, ვინაიდან სხვა ადგილი არ აქვთ. ბავშვებს კონსულტაციები და სამედიცინო მანიპულაციები[36] უტარდებათ ერთ სივრცეში. დაწესებულებაში რენტგენოლოგიური გამოკვლევები ტარდება სამანიპულაციო ოთახში, კორიდორში, პირველადი ჯანდაცვის ოთახში. მნიშვნელოვანია დაწესებულებაში დაცული იქნას ის მოთხოვნები, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 ივლისის N317 დადგენილებით[37].

N11 სარეაბილიტაციო დაწესებულებაში პრობლემას წარმოადგენს ვაქცინაციის საკითხის გადაწყვეტისას კანონიერი წარმომადგენლებისაგან საჭირო დოკუმენტაციის მიღება. მოპოვებული ინფორმაციით, დაწესებულებაში დადგა წითელასა და წითურას ვაქცინაციის საჭიროება, შესაბამისად, საჭირო გახდა კანონიერი წარმომადგენლების მხრიდან დოკუმენტაციის წარმოდგენა, რომელშიც აღნიშნული იქნებოდა, თუ რა აცრები ჰქონდათ ჩატარებული არასრულწლოვან მსჯავრდებულებს. პასუხის მიღება მოხერხდა მხოლოდ ოთხი არასრულწლოვანი მსჯავრდებულის წარმომადგენლისაგან. დაწესებულების ინფორმაციით, არასრულწლოვანი მსჯავრდებულის კანონიერი წარმომადგენლების ნაწილისაგან აღნიშნული ინფორმაციის მიღება შეუძლებელია, რადგანაც გაძნელებულია მშობლებთან და კანონიერ წარმომადგენლებთან კომუნიკაცია. ამიტომ მნიშვნელოვანია სოციალურმა სამსახურმა გააძლიეროს ამ მიმართულებით მუშაობა.

2.4. კონტაქტი გარე სამყაროსთან

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად, ხაზს უსვამს არასრულწლოვანთა გარე სამყაროსთან კონტაქტის მნიშვნელობას და განმარტავს: „ყველა საშუალებით უნდა იქნას უზრუნველყოფილი, რომ არასრულწლოვანი სათანადო კონტაქტში იყოს გარე სამყაროსთან, რაც სამართლიანი და ჰუმანური მოპყრობის არსებით ნაწილს შეადგენს და მნიშვნელოვანია არასრულწლოვანის საზოგადოებისაკენ მოსაბრუნებლად“[38].

[36] გასინჯვა, ინექცია, გადახვევა და სხვა.
[37] ტექნიკური რეგლამენტი „სამედიცინო დასხივების სფეროში რადიაციული უსაფრთხოების მოთხოვნები“.
[38] გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირების შესახებ (პეკინის წესები), მუხლი 59.

არასრულწლოვანი მსჯავრდებულები

არასრულწლოვანთა N11 სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მსჯავრდებულებს კანონმდებლობის შესაბამისად აქვთ ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნებით, ვიდეოპაემნებითა და ტელეფონით სარგებლობის უფლება. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წლის პირველი 4 თვის მანძილზე ხანგრძლივი პაემნის უფლებით არც ერთ მსჯავრდებულს არ უსარგებლია, ხანმოკლე პაემანი განხორციელდა 66–ჯერ, ხოლო ორმა მსჯავრდებულმა ისარგებლა ვიდეოპაემნის უფლებით. ამავე პერიოდში N11 დაწესებულებაში მყოფ არასრულწლოვან მსჯავრდებულებს არც ერთი პირადი სახის წერილი არ გაუგზავნიათ.

არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისათვის ხანმოკლე პაემნები იმართება საერთო სივრცეში, სხვა პატიმრების თანდასწრებით, სადაც პატიმრებს აქვთ შესაძლებლობა, მოისმინონ ერთმანეთის პირადი საუბრები. აღნიშნული წარმოადგენს მნიშვნელოვან პრობლემას, რადგანაც პატიმრების პირადი ცხოვრების დეტალები ამ დროს შესაძლოა, ცნობილი გახდეს სხვა პატიმრებისათვის. მნიშვნელოვანია, რომ ხანმოკლე პაემნის ოთახების სივრცე მოეწყოს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს არასრულწლოვანი პატიმრების პირადი საუბრების კონფიდენციალურობა.

არასრულწლოვანი ბრალდებულები

N8 დაწესებულებაში ხანმოკლე პაემნებისთვის განკუთვნილი კაბინები გადატიხრულია მინის გამყოფი ბარიერით. არასრულწლოვან ბრალდებულებს ახლობლებთან ურთიერთობა უწევთ ტელეფონის საშუალებით და არ აქვთ ფიზიკური კონტაქტის შესაძლებლობა. ასეთ შემთხვევებში არასრულწლოვანი ოჯახის წევრებთან ყველანაირი ფიზიკური ურთიერთობის საშუალებას მოკლებულია[39]. 2018 წლის პირველი 4 თვის განმავლობაში განხორციელდა 14 ხანმოკლე პაემანი.

პატიმრობის კოდექსის 77–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბრალდებული სარგებლობს 1 თვის განმავლობაში არა უმეტეს 4 ხანმოკლე პაემნის უფლებით. აღნიშნული უფლება შეიძლება შეიზღუდოს გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილების საფუძველზე. ასევე ამავე კოდექსის 79–ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, შესაძლებელია ბრალდებულს შეეზღუდოს მიმოწერა და სატელეფონო ზარის უფლება გამომძიებლის ან პროკურორის მოტივირებული გადაწყვეტილებით.

2018 წლის პირველი 4 თვის მანძილზე, გამომძიებლის ან პროკურორის მოტივირებული გადაწყვეტილებით 2 შემთხვევაში მოხდა არასრულწლოვანი ბრალდებულისთვის ხანმოკლე პაემნის შეზღუდვა, სატელეფონო საუბრის

[39] იხ.: პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2016 წლის ანგარიში, http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4585.pdf , გვერდი 137

შეზღუდვის 2 და მიმოწერის შეზღუდვის 2 შემთხვევა დაფიქსირდა. N8 დაწესებულებიდან არასრულწლოვანი ბრალდებულის მიერ, 2018 წლის პირველი 4 თვის მანძილზე მხოლოდ 1 პირადი სახის წერილი გაიგზავნა.

რეკომენდაციები

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს

არასათანადო მოპყრობა და უსაფრთხოება

- N8 და N11 დაწესებულებებში არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის სრული შემოწმების მოთხოვნა განხორციელდეს მხოლოდ პატიმრის მხრიდან უსაფრთხოების კუთხით მომდინარე რისკის ინდივიდუალური შეფასების, თანაზომიერებისა და აუცილებლობის პრინციპებზე დაყრდნობით. ამავდროულად, სრული შემოწმების მოთხოვნის შემთხვევაში, აუცილებელია, რომ ბრალდებულს/მსჯავრდებულს შესთავაზონ სკანირება, როგორც შემოწმების ალტერნატიული მეთოდი, რაც დაწესებულებების დებულებებით იქნება განსაზღვრული;
- მიიღოს ყველა ზომა, რათა N8 და N11 დაწესებულებებში სრული შემოწმების განხორციელებისას არ მოხდეს არასრულწლოვანი პირის სხეულის სხვადასხვა ნაწილების ერთდროულად გაშიშვლების მოთხოვნა; დაუყოვნებლივ აღმოიფხვრას ე.წ „ბუქნების გაკეთების“ პრაქტიკა;
- უზრუნველყოს N8 და N11 დაწესებულებებში არასრულწლოვან პატიმართა ინფორმირება მათი უფლებებისა და მოვალეობების, საჩივრის შეტანისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ, როგორც საინფორმაციო შეხვედრებით, ასევე შესაბამისი ბუკლეტებით;
- გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები, რათა ყველა არასრულწლოვანი პატიმარი მოთავსდეს არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში;
- ცვლილებები შევიდეს N8 პენიტენციური დაწესებულების დებულებაში, რათა არასრულწლოვანი ბრალდებულების შემთხვევაში აიკრძალოს დეესკალაციის ოთახის გამოყენება;
- უზრუნველყოს N8 და N11 დაწესებულებებში არასრულწლოვან პატიმართა ინფორმირება მათი უფლებებისა და მოვალეობების, საჩივრის შეტანისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ, როგორც საინფორმაციო შეხვედრებით, ასევე შესაბამისი ბუკლეტებით;
- N11 დაწესებულებაში არსებული კრიმინალური სუბკულტურისა და არაფორმალური მმართველობის დაძლევის მიზნით:
    - არ დაუშვას დაწესებულებაში არაფორმალური მმართველობა;

- უზრუნველყოს თანამშრომელთა ანგარიშვალდებულების, კომპეტენციის და ოპერაციული შესაძლებლობების გაზრდა;
- უზრუნველყოს თანამშრომელთა უნარ-ჩვევების გაძლიერება ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა პატიმრებთან ურთიერთობა, კონფლიქტების მართვა, მედიაცია და მოქმედება ეთიკის კოდექსის შესაბამისად;
- უზრუნველყოს დაწესებულებაში სარეაბილიტაციო სერვისების გაძლიერება, პატიმრობის ოპტიმალური პირობების შექმნა, პატიმართა განათლება/ცნობიერების ამაღლება, პატიმრების სამართლიანი წახალისება და მათი ჩართვა ყოველდღიურ, სხვადასხვა საინტერესო/ღირებულ აქტივობაში;

- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 26 ოქტომბრის N131 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესში“ შევიდეს შესაბამისი ცვლილებები, შემდეგი მიზნით:
  - განისაზღვროს პენიტენციური დაწესებულებების ექიმის ვალდებულება – იმ შემთხვევაში, თუ იგი მიიღებს ინფორმაციას ან დაასკვნის, რომ პატიმარი შესაძლოა დაექვემდებარა არასათანადო მოპყრობას, შეტყობინება გაუგზავნოს საქართველოს მთავარ პროკურატურას;
  - საგამოძიებო ორგანოსთვის შეტყობინების შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს ექიმმა, პატიმრის ინტერესებისა და საჯარო ინტერესის გათვალისწინებით.
- უზრუნველყოს N8 დაწესებულებაში არასრულწლოვანთა საცხოვრებელი საკნების სანიტარულ–ჰიგიენური ნორმების დაცვა, საკნების რეგულარულად დასუფთავების გზით;
- უზრუნველყოს N8 დაწესებულებაში არასრულწლოვანთა საცხოვრებელი საკნების სათანადო ხელოვნური ვენტილაცია;
- უზრუნველყოს N8 დაწესებულებაში არასრულწლოვანთა საცხოვრებელ საკნებში ბეტონის იატაკის შეცვლა, სხვა, ჯანმრთელობისათვის უვნებელი საშუალებით;
- სასჯელის მოხდის ინდივიდუალურ გეგმებში ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, 2018 წლის მანძილზე უზრუნველყოს N11 დაწესებულების სოციალური სამსახურების თანამშრომელთა პროფესიული გადამზადება;
- სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმების შედგენის დროს განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს შევსებული ინფორმაციის სისწორეზე და გამოირიცხოს ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციის შეტანა. ინდივიდუალურ გეგმებში აისახოს პრობლემის გადაჭრის გზები, გაანალიზდეს

სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის მიმდინარეობა სხვადასხვა ეტაპებზე. ამასთან, წარმოდგენილ იქნას მიზეზები, თუ რატომ ვერ მოხერხდა დაგეგმილი აქტივობის შესრულება გეგმით განსაზღვრულ დროში;

- უზრუნველყოს N8 დაწესებულებაში მყოფ ბრალდებულთა ინდივიდუალური საჭიროების იდენტიფიცირების მიზნით სახელმძღვანელო დოკუმენტის შექმნა და პრაქტიკაში დანერგვა;
- უზრუნველყოს N11 დაწესებულების სოციალური სამსახურისა და დაწესებულებაში არსებული სკოლის მასწავლებელთა გადამზადება არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მუშაობის საკითხებზე (განსაკუთრებით ბავშვთა მიმართ ძალადობის, რთული ქცევის ბავშვის მართვის და მოტივაციის ამაღლების საკითხებზე)
- უზრუნველყოს N11 დაწესებულების სოციალური სამსახურისა და დაწესებულებაში არსებული სკოლის მასწავლებელთა შორის კომუნიკაციის გაძლიერება;
- გაძლიერდეს N11 დაწესებულების სოციალური სამსახურის მუშაობა არასრულწლოვანთა მშობლებთან კომუნიკაციის კუთხით, რათა აღმოიფხვრას არასრულწლოვანთა სკოლაში ჩარიცხვის პრობლემები;
- N11 დაწესებულებაში არასრულწლოვანთა წახალისების გზით უზრუნველყოს მათი სარეაბილიტაციო აქტივობებში ჩართვის მოტივაციის ამაღლება;
- უზრუნველყოს N11 დაწესებულებაში არასრულწლოვანთა ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე სერვისების დანერგვა;
- უზრუნველყოს N11 დაწესებულების ბიბლიოთეკის განახლება სომხური და აზერბაიჯანულ ენოვანი წიგნებით;
- უზრუნველყოს N11 დაწესებულებაში რენტგენის გადასაღები სივრცე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 ივლისის N317 დადგენილების შესაბამისად;
- უზრუნველყოს ხანმოკლე პაემნების ოთახის გადატიხვრა იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იქნას არასრულწლოვანი მსჯავრდებულების პირადი საუბრების კონფიდენციალურობის დაცვა;
- უზრუნველყოს N8 დაწესებულებაში მყოფი არასრულწლოვანი პირებისთვის ხანმოკლე პაემნის განხორციელების შესაძლებლობა უშუალო კონტაქტით, მინის გამყოფი ბარიერის გარეშე.

რეკომენდაცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

- უზრუნველყოს N11 დაწესებულებაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიცირება და შესაბამისად, ასეთი ბავშვის გამოვლენის შემთხვევაში უზრუნველყოს დაწესებულება სპეციალური მასწავლებლით.

3. N5 პენიტენციური დაწესებულება

3.1. არასათანადო მოპყრობა და უსაფრთხოება

ვიზიტის დროს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს პატიმრების მიმართ ადმინისტრაციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის შესახებ ინფორმაცია არ მიუღიათ. მონიტორინგის ჯგუფის მიერ შესწავლილი დოკუმენტაციის მიხედვით, 2017 წელს დაწესებულებაში გაკეთდა 109 ჩანაწერი დაწესებულებაში მომხდარი შემთხვევებისა და დანაშაულებრივი ფაქტების შესახებ. 2018 წლის იანვრიდან აპრილის თვის ჩათვლით დაწესებულებაში დაფიქსირდა 41 შემთხვევა დანაშაულებრივი ფაქტის შესახებ. დოკუმენტაციაში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2018 წელს ჟურნალში ასახულ ყველა შემთხვევაზე შეტყობინება გაგზავნილია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში. მიღებული ინფორმაციის თანახმად, დაწესებულებაში ადგილი აქვს პატიმართა შორის კონფლიქტებსა და დაპირისპირებებს.

სხეულის შემოწმების ინვაზიური ბუნებიდან გამომდინარე, სრული შემოწმება შესაძლებელია იყოს დამთრგუნველი ან დამამცირებელი ყველა დაკავებულისათვის. ქალები კიდევ უფრო დაუცველნი და მოწყვლადნი არიან ამ სიტუაციაში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ პატიმრის სხეული სრულად შემოწმდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს მკაცრად აუცილებელია დაწესებულებაში, პატიმრებისა და გარშემომყოფთა უსაფრთხოებისა და წესრიგის უზრუნველსაყოფად[40].

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ სრული გაშიშვლება უნდა განხორციელდეს მხოლოდ კონკრეტული ეჭვის საფუძველზე, შესაბამის გარემოში და განხორციელდეს ღირსების პატივისცემის პირობებში[41].

ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ გაეროს წესების (ბანგკოკის წესები) თანახმად, სხეულის აგრესიული (ინვაზიური) ჩხრეკა უნდა ჩაანაცვლოს შემოწმების ისეთმა ალტერნატიულმა მეთოდებმა, როგორიცაა სკანირება, რათა თავიდან იქნას აცილებული მათგან მიღებული საზიანო ფსიქოლოგიური და შესაძლო ფიზიკური გავლენა[42].

---

[40]წამების პრევენციის ასოციაცია(APT), დაკავება ფოკუსში - სხეულის შემოწმება, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე ვებ-გვერდზე: http://www.apt.ch/detention-focus/en/detention_issues/6/ [ბოლოს ნანახია: 10.06.2018].

[41]ევროპის საბჭო: წამების პრევენციის კომიტეტი, ანგარიში ბულგარეთის მთავარობისადმი ბულგარეთში განხორციელებული ვიზიტის შესახებ, რომელიც განხორციელდა წამებისა და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ევროპული კომიტეტის (CPT) მიერ 2014 წლის 24 მარტიდან 3 აპრილის ჩათვლით, გამოქვეყნდა 2015 წლის 29 იანვარს, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე ვებგვერდზე: http://hudoc.cpt.coe.int/eng#{"fulltext":["squat"],"CPTSectionID":["p-bgr-20140324-en-23"]} [ბოლოს ნანახია: 10.06.2018].

[42]გაეროს გენერალური ასამბლეა, გაეროს ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ წესები (ბანგკოკის წესები) წესი 19, 20, 2010 წლის 6 ოქტომბერი, A/C.3/65/L.5.

მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ დაწესებულებაში მიღებისას კვლავ ხდება ქალი პატიმრების მიმართ სრული პირადი შემოწმების გამოყენება, გაშიშვლების გზით, რა დროსაც მათ სთხოვენ ბუქნების გაკეთებას, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბრალდებულს/მსჯავრდებულს აქვს მენსტრუალური ციკლი. აღნიშნული პრობლემა გასულ წლებშიც ფიქსირდებოდა[43]. ქალი პატიმრების განმარტებით, აღნიშნული პროცედურები იყო დამამცირებელი და მორალურ ზიანს აყენებდა მათ. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული პროცედურები ტარდებოდა პატიმრის მიერ პენიტენციური დაწესებულების დატოვებისას და დაბრუნების ყველა შემთხვევაში, პატიმრები უარს აცხადებდნენ დაწესებულების გარეთ სამედიცინო მომსახურების მიღებასა და სასამართლო პროცესზე გაყვანაზე[44].

2016 წელს N5 დაწესებულებაში დამონტაჟდა სკანერის აპარატი და დაწესებულების დებულებაში შევიდა ცვლილებები პირადი სრული შემოწმების წესებთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც ბრალდებულს/მსჯავრდებულს მიენიჭა უფლება, თავად აირჩიოს სრული შემოწმების მეთოდი (პირადი სრული შემოწმება ან სკანერით შემოწმება). აღნიშნული წესები, დებულების თანახმად, მოქმედებს ბრალდებულის/მსჯავრდებულის დაწესებულებაში მიღების, დაწესებულებიდან გაგზავნის, დაწესებულებაში დაბრუნებისა და დებულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში[45].

განხორციელებული ვიზიტების დროს დადგინდა, რომ ქალ მსჯავრდებულებს/ბრალდებულებს, დაწესებულებაში პირველად მოთავსების დროს, არ ეძლევათ შემოწმების შემოთავაზებულ მეთოდებს შორის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა. მიღებული ინფორმაციის თანახმად, დაწესებულებაში მიღებისას მათ მიმართ გამოიყენება როგორც სკანერით შემოწმება, ასევე სრული პირადი შემოწმება გაშიშვლების გზით, რა დროსაც მათ სთხოვენ ბუქნების გაკეთებას.

აღნიშნული მეთოდების ერთდროულად გამოყენება ეწინააღმდეგება N5 დაწესებულების დებულებას[46]. სკანერის, როგორც სრული შემოწმების ალტერნატიული მეთოდის გამოყენება გულისხმობს არა სრული შემოწმების სხვა მეთოდებთან ერთად (გაშიშვლებით და შინაგან შემოწმებას)

---

[43]ადამიანის უფლებათა ცენტრი, "ქალი და არასრულწლოვანი პატიმრების მდგომარეობა საქართველოში", 2015: http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/angarishebi/hridc/report%20-%20female%20and%20juvenile%20prisoners-geor.pdf

[44] საქართველოს სახალხო დამცველი, „ადამიანის უფლებათა მდგომარეობა დახურულ დაწესებულებებში", 2016: http://ombudsman.ge/uploads/other/4/4585.pdf

[45] პარაგრაფი „ბ", მუხლი მე-8², საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N5 დაწესებულების დებულება.

[46] სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N116 ბრძანებით დამტკიცებული „პენიტენციური დეპარტამენტის N5 დაწესებულების დებულება"

გამოყენებას, არამედ ამ მეთოდების ალტერნატივას, რომლის გამოყენების შემდგომ არ უნდა მოხდეს სხვა, დამატებითი მეთოდების გამოყენება[47]. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც სკანერით შემოწმებამ დაადასტურა ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ აკრძალული ნივთის/ნივთიერების ფლობა ან წარმოიქმნა საფუძვლიანი ეჭვი ასეთი ნივთის ფლობასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში, შესაძლებელია სკანერით შემოწმების შემდეგ გაშიშვლებისა და შინაგანი შემოწმების ჩატარება. თუმცა, N5 დაწესებულებაში მიღებისას ქალი პატიმრების ერთდროულად სკანერითა და გაშიშვლების მეთოდებით შემოწმება ხდება რუტინულად და ბლანკეტურად, კონკრეტული დასაბუთების გარეშე, რაც ეწინააღმდეგება N5 დაწესებულების დებულებით დადგენილ წესებს.

პრობლემურია, ასევე, გაშიშვლების მეთოდი. კერძოდ, გაშიშვლებისას ქალ პატიმრებს სთხოვენ ტანსაცმლის ერთბაშად და არა ნაწილ-ნაწილ გახდას, რაც ეწინააღმდეგება ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტის მიერ დადგენილ სტანდარტებს[48].

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში მიღებისაგან განსხვავებით, დაწესებულებიდან გაყვანის შემთხვევებში (მაგალითად, სასამართლო დაწესებულებაში ან სამკურნალო დაწესებულებაში), ქალ მსჯავრდებულებს/ბრალდებულებს აძლევენ უფლებას, აირჩიონ პირადი სრული შემოწმების სასურველი გზა. ამ შემთხვევებში, მიღებული ინფორმაციით, ქალი პატიმრების შემოწმება უმეტესწილად სკანერის გამოყენებით ხდება.

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ N5 დაწესებულებაში განთავსებულ სკანერს, რომელიც ქალი პატიმრების პირადი სრული შემოწმების საშუალებას წარმოადგენს, არ ახლავს მოხმარებისა და უსაფრთხოების დაცვის ინსტრუქცია. დაწესებულების ადმინისტრაციის განმარტებით, დაწესებულებაში მსგავსი ინსტრუქციები არ აქვთ წერილობითი ფორმით. ადმინისტრაციის ინფორმაციით, სკანერის გამოყენებასთან დაკავშირებით შესაბამისად არიან მომზადებული დაწესებულების თანამშრომლები.

შემოწმების წესთან დაკავშირებით გამოვლენილ კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ქალი პატიმრების დიდი ნაწილი არ არის ინფორმირებული სრული შინაგანი შემოწმების დანიშნულების შესახებ. სრული შინაგანი შემოწმება პირადი შემოწმების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, რომელიც ტარდება სამედიცინო მუშაკის

[47] პარაგრაფი „ბ“, მუხლი მე-8², საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N5 დაწესებულების დებულება.
[48] ევროპის საბჭო, წამების პრევენციის კომიტეტი, ანგარიში ჩეხეთის მთავრობისადმი ჩეხეთში განხორციელებული ვიზიტის შესახებ, რომელიც განხორციელდა წამების პრევენციის კომიტეტის მიერ 2014 წლის 1-10 აპრილის ჩათვლით: https://rm.coe.int/168069568c

მიერ გინეკოლოგიურ სავარძელზე იმ შემთხვევებში, როდესაც არსებობს საფუძვლიანი ეჭვი ბრალდებულის/მსჯავრდებულის სხეულში აკრძალული ნივთიერების არსებობის შესახებ[49]. აღნიშნული შემოწმება პატიმრების ნაწილისათვის სამედიცინო გამოკვლევასთან ასოცირდება. მნიშვნელოვანია, ქალ პატიმრებს სათანადოდ განემარტოთ სრული შინაგანი შემოწმების დანიშნულება და მისი გამოყენების საფუძვლები.

N5 დაწესებულებიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად[50], 2018 წლის 1 იანვრიდან 30 აპრილის ჩათვლით, სრული შემოწმება ჩაუტარდა 514 ბრალდებულს/მსჯავრდებულს დაწესებულებაში მიღებისას, ხოლო 566 - დაწესებულების დატოვებისას. ამავე პასუხის თანახმად, N5 დაწესებულებისაგან მიღებული ინფორმაციით, სრული შემოწმების ალტერნატიული მეთოდი - შემოწმება გინეკოლოგის მიერ, არ გაუვლია არც ერთ პატიმარს.

2018 წლის იანვრიდან აპრილის თვის ჩათვლით ბრალდებულის/მსჯავრდებულის სრული შემოწმება/დათვალიერებისას სხეულში აკრძალული ნივთი არ აღმოჩენილა. ის ფაქტი, რომ არც ერთი ბრალდებულის/მსჯავრდებულის სრული შემოწმებისას არ იყო აღმოჩენილი რაიმე სახის აკრძალული ნივთი, მიანიშნებს, რომ დაწესებულებაში ყველა შემთხვევაში სრული შემოწმების ჩატარების საჭიროება არ არსებობს.

ტრანსპორტირება

ნელსონ მანდელას წესების მიხედვით, აკრძალულია პატიმრების ტრასნპორტირება არასაკმარისი ვენტილაციის ან განათების, ან სხვა ნებისმიერ რთულ პირობებში[51]. დადებითად უნდა აღინიშნოს ქალ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ტრანსპორტირების გაუმჯობესების კუთხით გადადგმული ნაბიჯები, მონიტორინგის დროს გამოკითხული ქალი პატიმრების უმეტესობა აღნიშნავდა, რომ მათი ტრანსპორტირება კომფორტული ავტომობილებით ხორცილდებოდა.

3.2. პატიმრობის პირობები

ფიზიკური გარემო, სანიტარულ ჰიგიენური მდგომარეობა

N5 დაწესებულებაში არის 7 საცხოვრებელი კორპუსი: საპატიმრო განყოფილება, A, B, C და D კორპუსები, ტუბერკულოზით დაავადებულთა საცხოვრებელი კორპუსი, დედათა და ბავშვთა განყოფილება.

[49]პუნქტი 10, მუხლი 22, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N5 დაწესებულების დებულება
[50] პენიტენციური დეპარტამენტის N5 დაწესებულებიდან მიღებული 2018 წლის 17 მაისის MOC01800441649 პასუხი.
[51] მანდელას წესები, წესი 73.

დაწესებულების საცხოვრებელ საკნებში არ არის საკმარისი ხელოვნური ვენტილაცია. რიგ საკნებში იატაკი არის ბეტონის.

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების „A“ კორპუსში მოეწყო სივრცე სალონისთვის და სივრცე ფიზიკური აქტივობისათვის. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული სივრცეები მოკლე დროში ამუშავდეს სრული დატვირთვით.

N5 დაწესებულებაში პრობლემას წარმოადგენს საკნებში ცხელი წყლის არარსებობა. ჰიგიენური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად პატიმრებს ესაჭიროებათ ცხელი წყალი. საღამოს 20 საათის შემდგომ იკეტება კორპუსები, რა დროსაც იკეტება საკნის კარებიც. ამის შემდგომ პატიმრებს არ აქვთ საკნიდან გამოსვლისა და აბაზანით სარგებლობის უფლება, რის გამოც, პირადი ჰიგიენის დასაცავად, წყალს საკანში აცხელებენ.

N5 დაწესებულების A კორპუსის აბაზანა საჭიროებს სარემონტო სამუშაოს. აბაზანაში არის 1 ძველი და 1 ახალი გამწოვი. წყალი გუბდება იაკატზე, აბაზანაში არის უჰაერობა და ორთქლი. აუცილებელია სათანადო ხელოვნური ვენტილაცია. C და D კორპუსების აბაზანებში არის ფანჯრები ბუნებრივი ვენტილაციისთვის, მაგრამ ხელოვნური ვენტილაციის პრობლემაა.

ჰიგიენური საშუალებები - კბილის პასტა, საპონი და ტუალეტის ქაღალდი - ქალ პატიმრებს უფასოდ ურიგდებათ დაწესებულებაში შემოსვლისას და შემდგომში, თვეში ერთხელ, რაც არასაკმარისია. ამიტომ ამ საშუალებებს პატიმრები ძირითადად მაღაზიაში ყიდულობენ. მაღაზიაში ყიდულობენ ასევე სხეულის მოვლის საშუალებებს. პატიმრებმა აღნიშნეს, რომ სასურველია, დაურიგდეთ ქურქლის სარეცხი საშუალებაც და მაღაზიაზე არ იყვნენ დამოკიდებული.

მსჯავრდებულთა დიდი ნაწილი უკმაყოფილებას გამოთქვამს დაწესებულებაში არსებულ წყლის ხარისხთან დაკავშირებით, როგორც სასმელად, ისე რეცხვისას. მათი გადმოცემით, წყალი ზედმეტად დაქლორილია, აქვს არასასიამოვნო სუნი, იწვევს კუჭ-ნაწლავის პრობლემებსა და ხელებზე ალერგიულ გართულებებს. პატიმრები ასევე უჩიოდნენ წყლისგან კბილების დაზიანებას, თმის ცვენას, კანის გამოშრობას. პატიმრების დიდი ნაწილი წყალს მაღაზიაში ყიდულობს. მათი თქმით, წყალს აქვს დიდი რაოდენობით ნალექი. სასურველია, განხილულ იქნას დაწესებულებისთვის წყლის გასაფილტრი დანადგარის დამონტაჟების საკითხი, რათა შენობის გამანაწილებელ სისტემაში შესვლამდე წყალი დამატებით გაიფილტროს.

ბრალდებული ქალები

ბრალდებული ქალები მოთავსებული არიან დაწესებულების საპატიმრო განყოფილებაში. საპატიმრო განყოფილებაში არსებული საკნების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, საკნები საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს, იატაკი არის ბეტონის (ცივი), რაც მავნებელია ჯანმრთელობისთვის. ბრალდებულებს საშხაპით სარგებლობა შეუძლიათ კვირაში ორჯერ. ამავე დროს, შეუძლიათ, ისარგებლონ კორპუსში არსებული სარეცხი მანქანით. კვირის დღეებში სარეცხი მანქანისთვის სარგებლობისთვის განკუთვნილი დღეები არასაკმარისია, რის გამოც პატიმრებს ტანსაცმლის გარეცხვა უწევთ ხელით, საკანში, სადაც არ მოდის ცხელი წყალი. პირადი ჰიგიენის დასაცავად კი ელექტროჩაიდნით აცხელებენ წყალს.

საპატიმრო განყოფილებაში მყოფი ბრალდებული ქალებისთვის არ არსებობს სივრცე ფიზიკური აქტივობებისა და ვარჯიშისათვის. ბრალდებული ქალები დღის განმავლობაში მხოლოდ 1 საათი სარგებლობენ გასეირნების უფლებით. სასეირნო სივრცე არის საკნის ტიპის, მხოლოდ განსხვავება ისაა, რომ არ არის გადახურული. ამასთან, ერთ-ერთ სასეირნო ეზოში მოწყობილია საშრობი, რომელიც არ არის საკმარისი. აქვე აღსანიშნავია, რომ საპატიმრო განყოფილებაში მოთავსებული არიან უსაფრთხოების ან სხვა მიზნით გადაყვანილი მსჯავრდებულებიც და უვადოდ თავისუფლება აღკვეთილი პირი, რომლებიც ბრალდებულების მსგავს პირობებში იმყოფებიან.

უცხოელი ქალები

თუ ბრალდებულს/მსჯავრდებულს არ აქვს პირადი ტანსაცმელი/ფეხსაცმელი ან/და ჰიგიენის დასაცავად აუცილებელი სხვა პირადი ნივთი, პენიტენციური დაწესებულება უზრუნველყოფს მას სეზონის შესაფერისი სპეციალური ტანსაცმლით/ფეხსაცმლით ან/და ჰიგიენის დასაცავად აუცილებელი სხვა პირადი ნივთით, რომლის ფორმა არ უნდა ლახავდეს ადამიანის ღირსებას[52]. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში უცხოელი პატიმრებისთვის ახალი ტანისამოსის და ფეხსაცმლის მარაგი არ არის. საჭიროების შემთხვევაში ურიგებენ მეორად ტანსაცმელს, რაც საპატრიარქომ და სხვა უწყებებმა გადასცეს დაწესებულებას[53]. აგრეთვე,

[52] საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“, მუხლი 22, პუნქტი 1

[53] უცხო ქვეყნის მოქალაქე პატიმრებისათვის საკონსულოების მხრიდან დახმარების მიღება მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს იმისათვის, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქე პატიმარმა იგრძნოს თავი უფრო დაცულად და უკეთ ინფორმირებულად საკუთარ უფლებებთან დაკავშირებით. N5 დაწესებულებაში მოთავსებულ უცხო ქვეყნის მოქალაქე ქალი პატიმრების ნაწილს დახმარებას უწევს საკონსულოები, მაგალითად, ბრაზილიის მოქალაქე ქალ პატიმრებს დახმარებას უწევს საკონსულო, მათ შორის, უგზავნის ტანსაცმელსა და წიგნებს, რაც პოზიტიურად აისახება მათ მდგომარეობაზე.

უცხოელი პატიმრები ტანსაცმელს ძირითადად ყიდულობენ ქართველი პატიმრებისგან.

3.3. დღის განრიგი და სარეაბილიტაციო აქტივობები

ბანკოკის წესების შესაბამისად, ქალ პატიმრებს უნდა მიუწვდებოდეთ ხელი დაბალანსებულ და მრავლისმომცველ პროგრამებზე, რომელიც ითვალისწინებს გენდერისათვის შესაფერის საჭიროებებს[54]. მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ კვლავ პრობლემას წარმოადგენს „A“ კორპუსში მყოფი პატიმრების სარეაბილიტაციო აქტივობებში დაწესებულების „C“ და „D“ კორპუსებში მოთავსებული მსჯავრდებულების მსგავსად ჩართვა. გარდა ამისა, პრობლემას წარმოადგენს B კორპუსში - სამედიცინო ნაწილში მოთავსებული მსჯავრდებულების სარეაბილიტაციო აქტივობებში მონაწილეობა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარდა პატიმრებთან ინდივიდუალური შეხვედრებისა, ფსიქოლოგები სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების პროცედურის ფარგლებში ამზადებენ მსჯავრდებულის დახასიათებას, მონაწილეობენ სარეაბილიტაციო აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში, ასევე ჩართულები არიან სუიციდის პრევენციის პროგრამაში და ამ პროგრამის ფარგლებშიც უწევთ შესაბამისი ფსიქოლოგიური დასკვნების მომზადება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ფსიქოლოგების კვალიფიკაციის ამაღლება და საკმარისი რაოდენობის უზრუნველყოფა.

სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმები

მსჯავრდებულთა სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმებისა და მათი შესრულების დოკუმენტაციის გაცნობისას გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა:

- სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის რეკომენდაციების ნაწილი არ არის შევსებული სამართლებრივი რეჟიმის წარმომადგენლისა და ექიმის მიერ. მათ მიერ შევსებულია დახასიათების ნაწილი, სადაც ისინი აღწერენ მსჯავრდებულის პიროვნებას. რაც შეეხება სასჯელის მოხდისას საჭირო რეკომენდაციებს, აღნიშნული ნაწილი სამართლებრივი რეჟიმის წარმომადგენლისა და ექიმის მიერ არ არის შევსებული. აღნიშნული ხარვეზი გეგმის სერიოზული ნაკლია, თუ გავითვალისწინებთ, რომ გეგმა დიდწილად სწორედ ამ რეკომენდაციებს უნდა დაეყრდნოს.
- ინდივიდუალურ გეგმებში პატიმრების დახასიათებისა და რეკომენდაციების ნაწილში, რიგ შემთხვევებში, წარმოდგენილია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია და მონაცემები. მაგალითად,

[54] ბანკოკის წესები, წესი 43 (1).

ერთ-ერთი პატიმრის დახასიათებისას, სოციალური მუშაკი აღნიშნავს, რომ მსჯავრდებული არ არის ჩართული აზარტულ თამაშებში, ხოლო ალკოჰოლს იღებს მხოლოდ რელიგიურ დღესასწაულებზე, მცირე რაოდენობით, რაც ჩვევაში არ გადასულა. რეკომენდაციების ნაწილში კი აღნიშნულია სრულიად განსხვავებული გარემოება, რომ მსჯავრდებული დამოკიდებულია აზარტულ თამაშებზე, ალკოჰოლსა და ნარკოტიკზე.

- ინდივიდუალურ გეგმებში, რიგ შემთხვევებში, დახასიათების ნაწილში აღწერილია პრობლემა, მაგრამ რეკომენდაციების ნაწილში არ არის წარმოდგენილი პრობლემის გადაჭრის გზები. მაგალითად, ერთ-ერთი პატიმრის დახასიათებისას სოციალური მუშაკი აღნიშნავს მსჯავრდებულის ჩაკეტილობისა და აზარტული თამაშებისადმი მიდრეკილების პრობლემების შესახებ. გეგმის რეკომენდაციების ნაწილში კი აღარაფერია ნახსენები, თუ რა გზით უნდა აღმოიფხვრას აღნიშნული პრობლემები.
- ინდივიდუალური გეგმების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ მსჯავრდებულის სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმა და დაწესებულებაში დასანერგი პროგრამები იგეგმება არა პატიმრის საჭიროებების მიხედვით, არამედ დაწესებულებაში არსებული შესაძლებლობებიდან და პროგრამებიდან შეირჩევა შესაბამისი პროგრამა პატიმრისათვის.
- ინდივიდუალური გეგმებისა და მათი შესრულების დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ რიგ შემთხვევებში, გეგმების შესრულება პრობლემურია. დოკუმენტაციაში არ არის წარმოდგენილი მიზეზი, თუ რატომ არ მოხერხდა დაგეგმილი აქტივობის შესრულება გეგმით განსაზღვრულ დროს.

უცხოენოვანი პატიმრები

უცხო ქვეყნის მოქალაქე პატიმრებისათვის N5 პენიტენციურ დაწესებულებაში სარეაბილიტაციო და საგანმანათლებლო აქტივობების კუთხით ძალიან მწირი შესაძლებლობებია. უცხოენოვანი პატიმრებისთვის არ არსებობს სატელევიზიო არხები მათთვის გასაგებ ენაზე. ასევე არ არსებობს სარეაბილიტაციო, საგანმანათლებლო თუ გასართობი აქტივობები, შესაბამისად უცხოელი პატიმრები, რომლებიც ქართულ ენაზე არ საუბრობენ, განიცდიან სოციალურ იზოლაციას. მართალია, მათ აძლევენ შესაძლებლობას, ჩაერთონ ისეთ აქტივობებში, რომელსაც ენის ცოდნა არ სჭირდება, მაგრამ ეს, ბუნებრივია, არ არის საკმარისი და სრულფასოვანი გზა რეაბილიტაციისთვის. მართალია, დაწესებულებაში უცხოელ პატიმრებს, რიგ შემთხვევებში, სთავაზობენ ქართული ენის შემსწავლელ კურსებს, მაგრამ ასეთი კურსები რეგულარულად არ ტარდება.

მანდელას წესების თანახმად, აუცილებელია ყველა მსგავსი პროგრამა, აქტივობა და მომსახურება პატიმარს მიეწოდოს მისი ინდივიდუალური

საჭიროებების გათვალისწინებით[55]. N5 დაწესებულებაში უცხოელი პატიმრებისათვის მსგავსი პროგრამები არათუ ინდივიდუალურ საჭიროებაზეა მორგებული, არამედ რიგ შემთხვევებში, საერთოდ არ არის წარმოდგენილი. მაგალითად, ასეთ შემთხვევას წარმოადგენს ირანის მოქალაქე ქალი პატიმრების მდგომარეობა, რომელიც სრულყოფილად მხოლოდ სპარსულად საუბრობს. დაწესებულებაში მისთვის პრაქტიკულად არ არსებობს სარეაბილიტაციო აქტივობები.

N5 დაწესებულებაში მოთავსებული უცხო ქვეყნის მოქალაქე ქალი პატიმრების მნიშვნელოვანი ნაწილი განიცდის სოციალურ იზოლაციას სხვადასხვა მიზეზების, მათ შორის - ენობრივი ბარიერისა და ოჯახის წევრებთან კონტაქტის არქონის გამო, რაც მძიმედ აისახება მათ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. პრობლემას წარმოადგენს ასევე ის ფაქტი, რომ N5 დაწესებულებას, სადაც საანგარიშო პერიოდში დაახლოებით 275 პატიმარი იყო მოთავსებული, ემსახურება მხოლოდ 2 ფსიქოლოგი, რომელთაგან ერთი ფლობს ინგლისურ ენას. უცხოელი პატიმრებისათვის ინდივიდუალური და ჯგუფური თერაპიის ჩასატარებლად აღნიშნული რესურსი არის ძალიან მწირი. უცხოელი პატიმრების განცხადებით, მიუხედავად საჭიროებისა, მათ იშვიათად ხვდება ფსიქოლოგი კონსულტაციების მიცემისა და ინდივიდუალური თერაპიის ჩატარების მიზნით. რიგ შემთხვევებში, ინდივიდუალური თერაპია ტარდება თარჯიმნის დახმარებით, რომელიც არ არის შესაბამისად მომზადებული მსგავსი ტიპის სამუშაოსთვის. ფსიქოლოგიური მხარდაჭერა წარმოადგენს პატიმართა რეაბილიტაციის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტს. გაეროს ქალ პატიმართა მოპყრობის შესახებ წესების (ე.წ. ბანგკოკის წესები) თანახმად, განსაკუთრებული ძალისხმევა უნდა იქნას მიმართული ფსიქოლოგიური დახმარების საჭიროების მქონე ქალი პატიმრების უზრუნველსაყოფად შესაბამისი მომსახურებით[56].

უცხოენოვან პატიმრებს პრობლემები ექმნებათ ბიბლიოთეკით სარგებლობასთან დაკავშირებით. N5 დაწესებულების ბიბლიოთეკაში ნაკლებად არის წიგნები თურქულ და სპარსულ ენებზე. აღნიშნულ ენებზე მოსაუბრე ქალ პატიმრებს აქვთ სურვილი, გაეცნონ თავიანთ ენებზე უფრო მრავალფეროვან ლიტერატურას, მაგრამ ამის შესაძლებლობა არ აქვთ.

მანდელას წესების შესაბამისად, დაწესებულების ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ციხის კონტინგენტს შორის ხშირად გამოყენებულ ენებზე. იმ შემთხვევაში, თუ პატიმარს არ ესმის არც ერთი ამ ენათაგანი, უნდა მოხდეს თარჯიმნის მოსახურებით

[55] პატიმართა მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, წესი 4. https://www.unodc.org/pdf/criminal_justice/UN_Standard_Minimum_Rules_for_the_Treatment_of_Prisoners.pdf /

[56] ქალ პატიმართა მოპყრობის შესახებ წესები, წესი 42 (4). http://www.un.org/en/ecosoc/docs/2010/res%202010-16.pdf

უზრუნველყოფა[57]. აღნიშნული, აგრეთვე, გულისხმობს ინფორმაციის მიწოდებას დაწესებულების შინაგანაწესის, პატიმრის უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ. მათ შორის, ისეთი ინფორმაციის მიწოდებას, რაც დაეხმარება პატიმარს ციხის ცხოვრებასთან ადაპტაციაში[58]. ზემოაღნიშნულ პრობლემებთან ერთად, უცხოელი პატიმრები მათთვის გასაგებ ენაზე სათანადოდ არ არიან ინფორმირებულები მათი უფლებების შესახებ[59].

3.4. სამედიცინო მომსახურება

ჯანმრთელობის დაცვის უფლების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს კომპონენტებს წარმოადგენს სამედიცინო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, დაწესებულების სამედიცინო მოწყობილობებით აღჭურვა და მისი შესაბამისობა სამედიცინო ნორმატივებთან[60]. პენიტენციური დაწესებულებების სამედიცინო პუნქტი უნდა აკმაყოფილებდეს ყველა იმ ძირითად და მინიმალურ მოთხოვნას, რაც ჯანდაცვის მომსახურებათა ეკვივალენტური მიწოდებისათვის არის აუცილებელი[61].

აღსანიშნავია, რომ სამედიცინო ნაწილში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მიუხედვად ამისა, სამედიცინო ნაწილის რამდენიმე პალატაში, რომლებიც საშხაპის გვერდით მდებარეობს კედლები ნესტიანი და დაზიანებულია. N5 დაწესებულების სამედიცინო ნაწილის პირველ სართულზე მოწყობილია რენტგენის 2 ოთახი. რენტგენის ოთახები ვერ აკმაყოფილებს ქვეყანაში დადგენილ სტანდარტებს[62].

N5 დაწესებულებაში არის 5 პირველადი ჯანდაცვის ოთახი. დღის განმავლობაში დაწესებულებაში იმყოფება 1 პირველადი ჯანდაცვის ექიმი, 1 მორიგე ექიმი, 5 დღის ექთანი. დაწესებულებაში 1 პჯდ ექიმის ვაკანსიაა. პრობლემას წარმოადგენს დაწესებულებაში დამხმარე სამედიცინო პერსონალის არარსებობა.

დაწესებულებაში, ასევე, სარგებლობენ მოწვეული ვიწრო სპეციალიზაციის ექიმების მომსახურებით. 2018 წელს დაწესებულებაში ტარდებოდა მოწვეული ფსიქიატრის, ოტორინოლარინგოლოგის, კარდიოლოგის, გინეკოლოგის, ენდროკრინოლოგის, ანგიოლოგის,

---

[57] მანდელას წესები, წესი 55.
[58] მანდელას წესები, წესი 54.
[59] უცხოელი ქალი პატიმრებისათვის არ არის უზრუნველყოფილი სისხლის სამართლის საქმის მასალების თარგმნა, რომელიც მათ ქართულ ენაზე აქვთ გადაცემული. თარგმნილია მხოლოდ შემაჯამებელი გადაწყვეტილებები. უცხოელი პატიმრები საქმის სხვა ნაწილს ვერ ეცნობიან და მათთვის უცნობი რჩება მნიშვნელოვანი დეტალები.
[60] გაეროს მე-14 ზოგადი კომენტარი, პარა 12.
[61] ევროპის საბჭო, წამებისა და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ევროპული კომიტეტი, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, გვ. 148, პუნქტი 29.
[62] საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 ივლისის N317 დადგენილებით დამტკიცებული „სამედიცინო დასხივების სფეროში რადიაციული უსაფრთხოების მოთხოვნები“, მუხლი 11

რენტგენოლოგის, რადიოლოგის, პროქტოლოგის, პედიატრის, ინფექციონისტის და ნევროლოგის კონსულტაციები.

N5 დაწესებულებაში განხორცილებული ვიზიტების დროს მონიტორინგის ჯგუფმა შეისწავლა სამედიცინო რეფერალის დროულობის საკითხი. დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ სამედიცინო დეპარტამენტის მიერ შემთხვევის დროული დადასტურების პრობლემა აღარ არის. 2018 წლის იანვრიდან 28 აპრილის ჩათვლით, სამოქალაქო ტიპის სამედიცინო დაწესებულებაში 130 ბრალდებული/მსჯავრდებული იქნა გაყვანილი, მათგან 7 პატიმარი -სასწრაფო წესით. მიუხედავად არსებული დადებითი ტენდენციებისა, არის შემთხვევები, როდესაც პაციენტის სამედიცინო გამოკვლევისთვის ან სამედიცინო მომსახურების მისაღებად გაყვანა გვიანდება. დაწესებულებაში ვიზიტის დროს სამედიცინო რეფერალს ელოდა 103 პაციენტი.

- ნ.მ. ალერგოლოგის კონსულტაციის ჩატარებისთვის 2017 წლის 25 ოქტომბერს დარეგისტრირებული იყო მთავარი ექიმის მიერ. სამედიცინო დეპარტამენტიდან შემთხვევა იმავე დღეს დადასტურდა. მონიტორინგის დღისთვის მსჯავრდებული გაყვანილი არ იყო.
- ს.ე. ნაღველკენჭოვანი დაავადების გამო, რაზეც ესაჭიროება გეგმიური ოპერაციული მკურნალობა ერთიან ელექტრონულ ბაზაში დარეგისტრირებული იყო 2017 წლის 15 მაისს. შემთხვევა სამედიცინო დეპარტამენტის მიერ დადასტურებული იქნა იმავე დღეს. მონიტორინგის დროს იგი გაყვანილი არ იყო;
- ა.ლ. დიაგნოზის ვესრიფიკაციისა და დაზუსტებისთვის დამატებითი კონსულტაციის ჩასატარებლად დარეგისტრირებული იყო 2017 წლის 20 ოქტომბერს, სამედიცინო დეპარტამენტის მიერ შემთხვევა დადასტურდა იმავე დღეს. ვიზიტის დროს მსჯავრდებული გაყვანილი არ იყო.
- ე.კ. დიაგნოზი, ცხვირის ძგიდის გამრუდება, ოპერაციული მკურნალობისთვის მთავარი ექიმის მიერ დარეგისტრირებული იყო 2017 წლის 23 მაისს, სამედიცინო დეპარტამენტის მიერ დადასტურება მოხდა იმავე დღეს, მაგრამ ვიზიტის დროს გაყვანილი არ იყო.

დაწესებულებაში კვლავ პრობლემას წარმოადგენს უცხოელი პატიმრების კომუნიკაცია დაწესებულების თანამშრომლებთან. განსაკუთრებით, კი პრობლემურია კომუნიკაცია სამედიცინო პერსონალთან. მიუხედავად იმისა, რომ რიგ შემთხვევაში ხდება თარჯიმნის მოწვევა, ძირითადად, ისინი მოკლებულნი არიან დაწესებულების პერსონალთან შესაბამის კომუნიკაციას. განსაკუთრებული პრობლემები იკვეთება ჩინეთისა და ბრაზილიის მოქალაქეებთან კომუნიკაციის კუთხით.

3.5. კვება

ციხის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს ყველა პატიმარი ჯანმრთელობისათვის საჭირო კვებითი ღირებულების, კარგად მომზადებული და სასარგებლო საკვებით[63]. მონიტორინგის ჯგუფის მიერ შემოწმდა პენიტენციური დაწესებულებების სამზარეულოში არსებული საკვები პროდუქტების ვარგისიანობის ვადები. ამ კუთხით დარღვევა აღმოჩენილი არ ყოფილა.

პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმართა კვების ნორმები განსაზღვრულია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით[64]. ამავე ბრძანებით დამტკიცებულია პატიმართა განსაკუთრებული (დიეტური) კვების საჭიროებები. N5 დაწესებულების კვების მენიუში არ შედის ხილი, ქალი პატიმრები ხილს იღებენ მხოლოდ კომპოტის სახით. აღსანიშნავია, რომ ხილი მხოლოდ დიაბეტით დაავადებულ პატიმართა კვების რაციონშია გათვალისწინებული.

ქალი პატიმრები უკმაყოფილებას გამოთქვამენ დაწესებულებაში არსებულ მაღაზიაში პროდუქტებისა და ჰიგიენური საშუალებების მაღალ ფასებთან დაკავშირებით. მონიტორინგის ფარგლებში შემოწმდა პროდუქტების ფასები N5 დაწესებულებაში არსებულ მაღაზიაში. უნდა აღინიშნოს, რომ მაღაზიაში არსებული პროდუქტებისა და ჰიგიენური საშუალებების ფასები დაახლოებით 10-20%-ით აღემატება სამოქალაქო სექტორში არსებულ ფასებს.

N5 დაწესებულებაში მსჯავრდებულ ქალებს შესაძლებლობა აქვთ, საკანში მოამზადონ საკვები, მაგრამ მათი თქმით, ამისთვის მნიშვნელოვანია ელექტროქვაბებისა და ტაფების შეძენის შესაძლებლობა ჰქონდეთ. მსჯავრდებულების განმარტებით, გარკვეული საკვების მომზადება უწევთ ელექტრონაიდნისა და „ტოსტერის“ საშუალებით. ქალი პატიმრების ინფორმაციით, ელექტროქვაბების შეძენა აკრძალული აქვთ უსაფრთხოების მიზეზებიდან გამომდინარე. შესაბამისად, ელექტროქვაბები არ იყიდება მაღაზიაში. მნიშვნელოვანია ქალ პატიმრებს მიეცეთ ელექტროქვაბების შეძენის საშუალება, რათა შეძლონ სასურველი საკვების მომზადება მისაღებ პირობებში.

ევროპული ციხის წესების მიხედვით პატიმრები უნდა იყვნენ უზრუნველყოფილი სათანადო საკვებით, მათი ასაკის, ჯანმრთელობის და ფიზიკური მდგომარეობის, რელიგიის, კულტურის და მუშაობის ხასიათის

[63] მანდელას წესები, წესი 22(1). ევროპული ციხის წესები, წესი 22.1-22.6.
[64] დამტკიცებულია 2015 წლის 13 აგვისტოს №88-№01-34/ნ ბრძანებით.

გათვალისწინებით[65]. დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ N5 დაწესებულებაში მართლმადიდებელი პატიმრებისთვის უზრუნველყოფილია სამარხვო მენიუ, მაგრამ არ არის გათვალისწინებული სხვა რელიგიის წარმომადგენელ ქალთა საჭიროებები, მაგალითად - არ არის უზრუნველყოფილი შესაბამისი მენიუ მუსლიმი ქალი პატიმრებისათვის რამადანის მარხვის დროს.

3.6. კონტაქტი გარე სამყაროსთან

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი რეკომენდაციებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თითოეული პირისათვის, რომელსაც აღკვეთილი აქვს თავისუფლება, გარე სამყაროსთან მყარი კავშირის არსებობას. კომიტეტის თანახმად, „აქ სახელმძღვანელო პრინციპად გვევლინება გარე სამყაროსთან კონტაქტების შენარჩუნების მხარდაჭერა; ასეთი კონტაქტის ნებისმიერი შეზღუდვა უნდა ეფუძნებოდეს სერიოზული ხასიათის უსაფრთხოების მოსაზრებებს ან არსებულ მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებულ პრობლემებს“[66].

2018 წლის იანვრიდან აპრილის თვის ჩათვლით N5 დაწესებულებაში განხორციელდა 19 ხანგრძლივი, 632 ხანმოკლე და 32 ვიდეოპაემანი. დადებითად უნდა აღნიშნოს, რომ N5 დაწესებულებაში ხანმოკლე პაემნის დროს ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს საშუალება აქვთ, პირისპირ შეხვდნენ ოჯახის წევრებს. ხანმოკლე პაემნის ოთახის ინფრასტრუქტურა კონფიდენციალურ გარემოში შეხვედრის შესაძლებლობას არ იძლევა, კერძოდ, ერთდროულად რამდენიმე პაემანი ხორციელდება ერთ სივრცეში. ასეთ დროს, ერთი მსჯავრდებულის პირადი ცხოვრების დეტალები შესაძლოა, ცნობილი გახდეს სხვა პატიმრისათვის. მნიშვნელოვანია, რომ ხანმოკლე პაემნის ოთახების ინფრასტრუქტურა მოეწყოს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იქნას ქალი პატიმრების პირადი საუბრების კონფიდენციალურობის დაცვა.

N5 დაწესებულებაში სატელეფონო ზარის განხორციელება შესაძლებელია, როგორც დახურული ტიპის განყოფილების დერეფანში, მორიგე ცვლის დასასვენებელი ოთახის გვერდით კედელზე ჩამოკიდებული ტელეფონის აპარატით, ასევე საცხოვრებელი კორპუსების ეზოს გარე კედლებზე დამონტაჟებული ტელეფონის აპარატებით. სახალხო დამცველს მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ დახურულ ტიპის დაწესებულებებში არსებული სატელეფონი აპარატები განთავსდეს ადმინისტრაციის ოთახებისგან მოშორებით, რათა უზრუნველყოფილი იქნას სატელეფონო საუბრის კონფიდენციალურობა. აღსანიშნავია, რომ საცხოვრებელი კორპუსების ეზოს გარე კედლებზე მიმაგრებული ტელეფონის აპარატები განთავსებულია

[65] ევროპული ციხის წესები, მუხ. 22.1
[66] წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპის კომიტეტი (CPT). წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის საერთო ანგარიშების „სარეზოლუციო“ ნაწილები. სტრასბურგი, 18 აგვისტო 2000 წ. გვ. 37

ღია სივრცეში შესაბამისი გადახურვისა და სატელეფონო კაბინების გარეშე, რაც პრობლემას ქმნის უამინდობისას ტელეფონით სარგებლობისას.

მნიშვნელოვანია, რომ რესურსები მიმართული იყოს იქეთკენ, რომ უცხოელი პატიმრებისათვის შეთავაზებულ იქნას მაქსიმალურად ხელმისაწვდომი და იაფი საერთაშორისო ზარის განხორციელების შესაძლებლობა. აგრეთვე, ტელეფონით საგრებლობის უფლების განხორციელებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ქვეყნებს შორის არსებული დროის განსხვავება[67].

მონიტორინგის დროს დადგინდა, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქე პატიმრებისათვის პრობლემურია დარეკვის უფლებით სარგებლობა. საერთაშორისო ზარების განხორციელების სიძვირიდან გამომდინარე, ისინი ხშირად ოჯახის წევრებს ვერ ესაუბრებიან. ასევე, უცხოელი პატიმრების შეფასებით, ძვირი ღირს წერილის გაგზავნა და ამანათების მიღება. აღსანიშნავია, რომ ტერიტორიული სიშორის გამო, უცხოელი პატიმრები, ფაქტობრივად, მოკლებულნი არიან ახლობლებთან ხანგრძლივი და ხანმოკლე პაემნების განხორციელების შესაძლებლობას. ანალოგიური პრობლემები აწუხებთ პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ საქართველოს იმ მოქალაქეებს, რომელთა ოჯახის წევრები საქართველოს ფარგლებს გარეთ ცხოვრობენ. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს, რომ უცხოელმა პატიმრებმა, ასევე საქართველოს იმ მოქალაქეებმა, რომელთა ოჯახი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ცხოვრობს, შეძლონ საერთაშორისო ზარების განხორციელება და წერილის გაგზავნა გონივრულ, ხელმისაწვდომ ფასად. ამასთან, გადახდისუუნარო უცხოელი პატიმრის გარე სამყაროსთან კონტაქტის ხარჯები სახელმწიფოს მიერ უნდა იქნას ანაზღაურებული.

პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქე ქალი მსჯავრდებულებისთვის პრაქტიკულად არ არის ხელმისაწვდომი ვიდეოპაემნებით სარგებლობის უფლება, მაშინ, როცა აღნიშნული უფლება უზრუნველყოფილია საქართველოს მოქალაქე ქალი მსჯავრდებულებისთვის. ვიდეოპაემანი ხორციელდება საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის N55 ბრძანებით „მსჯავრდებულთან ვიდეოპაემნით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული ბრძანების თანახმად, მსჯავრდებულთან ვიდეოპაემნის მსურველი პირი პრობაციის ბიუროში საამისოდ გამოყოფილი ადგილიდან ამყარებს პირდაპირ, ვიზუალურ და ხმოვან კავშირს მსჯავრდებულთან. მართალია, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს არ აქვთ შეზღუდული უფლება, გააკეთონ განაცხადი საქართველოში მყოფ მსჯავრდებულთან პაემნის მოთხოვნით, მაგრამ ვიდეოპაემნის

[67] წამების პრევენციის ასოციაცია(APT), დაკავება ფოკუსში - სხეულის შემოწმება, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე ვებ-გვერდზე: http://www.apt.ch/detention-focus/en/detention_issues/6/ [ბოლოს ნანახია: 13.06.2018]

განხორციელებისას ისინი ფიზიკურად უნდა იმყოფებოდნენ საქართველოში, პრობაციის ბიუროში. საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ვიდეოპაემნის განხორციელების შესაძლებლობას საქართველოში მსჯავრდებულ უცხო ქვეყნის მოქალაქესა და საზღვარგარეთ მყოფ პირებს შორის. უნდა აღინიშნოს, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქე მსჯავრდებული პირებისათვის ვიდეოპაემნის შესაძლებლობა ოჯახის წევრებთან უზრუნველყოფილია ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის, ნიდერლანდებში, ესპანეთსა და ნორვეგიაში[68]. ამ ქვეყნებში მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქე პატიმრები აღნიშნულ შესაძლებლობას მიიჩნევენ ძალიან მნიშვნელოვან გზად ოჯახის წევრებთან კონტაქტისათვის, რადგანაც, ხშირ შემთხვევაში, მათთვის ვიდეოპაემანი წარმოადგენს ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის ერთადერთ გზას. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ვიდეოპაემანი ფინანსურად შედარებით ხელმისაწვდომ კომუნიკაციის საშუალებას წარმოადგენს[69]. მნიშვნელოვანია, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ, სხვა უწყებებთან თანამშრომლობით, შეიმუშავოს გზები აღნიშნული შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად უცხო ქვეყნის მოქალაქე ქალი პატიმრებისათვის.

3.7. დედათა და შვილთა კორპუსში მოთავსებული ქალი პატიმრები

ბანგკოკის წესების თანახმად, „გადაწყვეტილება, თუ როდის შეიძლება ბავშვისა და დედის დაშორება, მიღებული უნდა იქნას ინდივიდუალურ შეფასებაზე დაყრდნობით და ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების გათვალისწინებით, შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში[70]. დადებითად უნდა აღინიშნოს პატიმრობის კოდექსსა და თანმდევ კანონებში შესული ცვლილებები, რომლის თანახმადაც, ქალ მსჯავრდებულს, რომელსაც დაწესებულებაში ჰყავდა 3 წლამდე ბავშვი და 3 წლის ასაკის მიღწევის გამო ბავშვმა დატოვა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება, აქვს უფლება, პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის გადაწყვეტილებით, ბავშვის მიერ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დატოვებიდან ერთი წლის განმავლობაში, უქმე დღეებში (შაბათ-კვირა) დატოვოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება[71].

მნიშვნელოვანია. დაწესებულებაში დედებთან ერთად მოთავსებული ბავშვებისათვის უზრუნველყოფილი იყოს მრავალფეროვანი საკვები რაციონი. ქალ პატიმრებს შვილებისათვის მიეწოდებათ სხვადასხვა საკვები ნედლეული და ისინი ამზადებენ მათთვის საკვებს. დედების და შვილების

[68] Prison Watch, "უცხო ქვეყნის მოქალაქე პატიმრები - საუკეთესო პრაქტიკა საპატიმროებსა და დეპორტაციაში", 2015: იხ. ბმული http://www.prisonwatch.org/assets/best-practices-fnp-2015.pdf [ბოლოს ნანახია:13.06.2018]

[69] *იგივე*

[70] წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ (ბანგკოკის წესები), წესი 52.

[71] 2018 წელს N5 დაწესებულება 3 წლის ასაკის მიღწევის გამო არ დაუტოვებია არცერთ ბავშვს. 2017 წელს დაწესებულება დატოვა მხოლოდ ერთმა 3 წელს მიღწეულმა ბავშვმა და ამავე წელს ერთმა დედამ ისარგებლა ბავშვის მონახულების უფლებით.

კვების რაციონი არის მსგავსი, გარდა იმისა, რომ ბავშვისთვის დამატებით იღებენ კვირაში ერთხელ ერთ ლიტრ რძეს და ერთ გაყინულ ქათამს. ხილის სახით კვირაში ერთხელ მიეწოდებათ მხოლოდ ვაშლი. ბავშვის სპეციალურ საკვებთან მიმართებით აღინიშნა, რომ გათვალისწინებულია მხოლოდ „ჰუმანას“ ფაფები, რომლის ხარისხთან დაკავშირებითაც მსჯავრდებული დედები გამოთქვამენ უკმაყოფილებას. მათი ინფორმაციით, მაღაზიაში არსებული პროდუქტი არის ძვირი. შეზღუდვებია დაწესებული ამანათით შესაგზავნ ნივთებზე/პროდუქტებზე, კერძოდ, ბავშვის კვების სპეციალური საშუალების, რძის პროდუქტის, თევზისა და ხორცის ამანათით მიღების უფლება არ აქვთ. პრობლემას წარმოადგენს დედათა და შვილთა კორპუსში არსებული წყლის ხარისხი. დასალევად იყენებენ მხოლოდ გადადუღებულ წყალს ან ყიდულობენ მაღაზიაში. ბავშვები საჭიროებენ კანის მოვლის სპეციალურ საშუალებებს, რომელიც მათ არ მიეწოდებათ ადმინისტრაციის მხრიდან. პრობლემას წარმოადგენს ასევე ბავშვების სათანადო ტანსაცმლით უზრუნველყოფა. ერთ-ერთმა მსჯავრდებულმა აღნიშნა, რომ მის შვილს არ აქვს სეზონის შესაფერისი და მისი ზომის ტანსაცმელი/ფეხსაცმელი.

მსჯავრდებული დედებისათვის მნიშვნელოვან საჭიროებას წარმოადგენს ძიძის/აღმზრდელის მომსახურება. დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ განხორციელებული ვიზიტის დროს დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულ დედებს ემსახურებოდა ერთი ძიძა არასამთავრობო ორგანიზაცია „ციხის საერთაშორისო რეფორმის“ პროექტის ფარგლებში. მნიშვნელოვანია, რომ აღმზრდელის რესურსი გამოყენებული იქნას სათანადოდ და მისი სამუშაო გრაფიკი ისე იქნას შედგენილი, რომ მსჯავრდებულ დედებს საშუალება ჰქონდეთ ჩაერთონ სარეაბილიტაციო და საგანმანათლებლო აქტივობებში.

დედათა და ბავშვთა განყოფილებაში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს კანალიზაციის სისტემის გაუმართაობის შედეგად დერეფანსა და ოთახების ნაწილში დამდგარი მძიმე სუნი. აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით, დაწესებულების ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ ისინი აპირებენ სარემონტო სამუშაოების ჩატარებას.

რეკომენდაციები სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს

- ბრალდებულის/მსჯავრდებულის სრული შემოწმების მოთხოვნა განხორციელდეს მხოლოდ პატიმრის მხრიდან უსაფრთხოების კუთხით მომდინარე რისკის ინდივიდუალური შეფასების, თანაზომიერებისა და აუცილებლობის პრინციპებზე დაყრდნობით;
- სრული შემოწმების განხორციელებისას N5 დაწესებულებაში არ მოხდეს პირის სხეულის სხვადასხვა ნაწილების ერთდროულად გაშიშვლების მოთხოვნა; აღმოიფხვრას ე.წ. „ბუქნების გაკეთების“ პრაქტიკა;

- უზრუნველყოფილ იქნას უცხოელი პატიმრების სათანადო ინფორმირება თარჯიმნის მოწვევის და მათთვის გასაგებ ენებზე დაბეჭდილი ბროშურების გადაცემის გზით;
- მაქსიმალურად გამარტივდეს კომუნიკაცია უცხოელ პატიმრებსა და დაწესებულების პერსონალს შორის, მათ შორის, თარჯიმნის მოწვევის გზით;
- საერთაშორისო ზარის განხორციელება და საზღვარგარეთ წერილის გაგზავნა შესაძლებელი იყოს მაქსიმალურად დაბალ ფასებში;
- მოხდეს უცხოელი პატიმრების სეზონის შესაბამისი ტანსაცმლით უზრუნველყოფა;
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა გადახდისუუნარო უცხოელი პატიმრის გარე სამყაროსთან კონტაქტის ხარჯები სახელმწიფოს მიერ იქნას ანაზღაურებული;
- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ, სხვა უწყებებთან თანამშრომლობით, შეიმუშავოს გზები ვიდეოპაემნის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად უცხო ქვეყნის მოქალაქე ქალი მსჯავრდებულებისთვის;
- ქალ პატიმრებს დაწესებულებაში მოთავსებისას, მათთვის გასაგებ ენაზე მიეწოდოთ სრულყოფილი ინფორმაცია გინეკოლოგიური სავარძლის გამოყენების გზით სრული შინაგანი შემოწმების თაობაზე;
- უზრუნველყოფილ იქნას ხანმოკლე პაემნების ოთახის გადატიხვრა იმგვარად, რომ დაცული იყოს ქალი პატიმრების პირადი საუბრების კონფიდენციალურობა;
- სასჯელის მოხდის ინდივიდუალურ გეგმებში სრულყოფილად იქნას წარმოდგენილი მულტიდისციპლინური გუნდის ყველა წევრის მიერ შევსებული ინფორმაცია, ამასთან სასჯელის მოხდის ინდივიდუალურ გეგმების შედგენის დროს განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს შევსებული ინფორმაციის სისწორეზე და გამოირიცხოს ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციის წარმოდგენა; ინდივიდუალურ გეგმებში წარმოდგენილი იქნას პრობლემის გადაჭრის გზები; გაანალიზდეს სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის მიმდინარეობა სხვადასხვა ეტაპებზე. ამასთან წარმოდგენილ იქნას მიზეზები, თუ რატომ ვერ მოხერხდა დაგეგმილი აქტივობის შესრულება გეგმით განსაზღვრულ დროში;
- ახალი სარეაბილიტაციო პროგრამების დანერგვისას შესაბამისი გამოკითხვის ჩატარების გზით გათვალისწინებული იქნას ქალი პატიმრების ინტერესები;
- N5 დაწესებულების სოციალურ სამსახურს დაემატოს ფსიქოლოგის 1 შტატი;
- დაწესებულებაში დედათა და ბავშვთა განყოფილებაში აღმზრდელის რესურსი მაქსიმალურად იქნას გამოყენებული, კერძოდ, მისი სამუშაო გრაფიკი შედგენილი იქნას იმგვარად, რომ ამ განყოფილებაში მყოფ

ქალებს საშუალება ჰქონდეთ, ჩაერთონ საგანმანათლებლო და სარეაბილიტაციო აქტივობებში;

- დაწესებულების ყველა საცხოვრებელ კორპუსში მცხოვრები პატიმრებს თანაბრად მიუწვდებოდეთ ხელი სარეაბილიტაციო და საგანმანათლებლო აქტივობებზე;
- რენტგენის ოთახი მოეწყოს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 ივლისის N317 დადგენილების შესაბამისად.

რეკომენდაცია სურსათის ეროვნულ სააგენტოს

- განხორციელდეს N5 დაწესებულების სასადილოსა და დაწესებულებაში არსებული წყლის შემოწმება და შემოწმების შედეგები ხელმისაწვდომი გახდეს ყველა დაინტერესებული მხარისთვის.